ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ოთხშაბათი, 2 ოქტომბერი, 2019 №233 (8187) ფასი: 60 თეთრი

მარიკა წერეთელი: „მე დღეს მომკლეს ჩემს ქმართან ერთად“

ყიფშიძეზე გარჩევაში დაჭრილები ლევან ძნელაძე და გივიკო ცინცაძე არიან

გვ.5

1 ოქტომბრიდან

რევაზ მიშველაძე

რჩეული ნოველები

ორტომეული ტომი 2

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

ლევან ხაბეიშვილი: „ბოკერიამ 2016 წელს მანდატები რომ მოიპარა, მაშინ არ ახსოვდა სააკაშვილი?“

„ბოკერიასთან გაერთიანება ხმებს არ მოგვიტანს“

გვ.3

„ბიძინა ივანიშვილი ჩემი სამიზნეა. მას ვლანძღავდი და გავლანძღავ ახლაც“

გურამ ჩალაგაშვილი ჯერ დააკავეს, შემდეგ გამოუშვეს

გვ.2

გვ.3

ოთარ კვირიკაშვილი: „ივანიშვილმა ჩალაგაშვილი პირადი შურისძიების გამო დააკავა“

„სააკაშვილთან დაპირისპირებაში ბოკერიამ მოიგო“



გვ.3

რამაზ საყვარელიძე: „არა მგონია, მიშა საქართველოში ციხეში ჩაჯდომისთვის ემზადებოდეს“

„ლავროვი-ზალკალიანის შეხვედრამ დაადასტურა, რომ საქართველო რუსეთის ვასალია“

გვ.4

გვ.4

ვახტანგ მაისაია: „რუსეთმა კარასინი-აბაშიძის ფორმატი ჩაშალა“

სამართალი გვ.5

„ცოლად გამომყევი, თორემ თავს მოვიკლავ“

ვინ გაისროლა მსახიობ ეკა ჩხეიძის სახლთან

თბილისში, ბაქოს ქუჩაზე, ახალგაზრდა ქალი გააუთოვეს

„იარაღიც ჰქონდა, მაგრამ არ გამოუყენებია“



წყალტუბოში 18 წლის ბიჭი გარდაცვლილი იპოვეს

დედამ ეს რომ გაიგო, კორპუსიდან გადახტა

4 „არ არის ადგილი, რომ დავდგა და ვიცხოვრო“

2 ადა მარშანია: „ქართულმა ოცნებამ“ მწამებლები და მკვლელები ჩაიხუტა გულში“



6 ქურდობაში ეჭვმიტანილი გოგონა დემონსტრაციულად გაშიშვლდა

7 გელა აფრასიძე: „ფიჯი უნდა დავამარცხოთ“

ISSN 1987-9385

„ბიძინა ივანიშვილი ჩემი სამიზნეა. მას ვლანძღავდი და გავლანძღავ ახლაც“

გურამ ჩალაგაშვილი ჯერ დააკავეს, შემდეგ გამოუშვეს

გუშინ, 1 ოქტომბერს, პოლიციამ „გამარჯვებული საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი გურამ ჩალაგაშვილი დააკავა.

– საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა თბილისში, ქავთარაძის ქუჩაზე გადამოწმების მიზნით ერთ-ერთი ავტომობილი შეაჩერეს. მძღოლის თანმხლებმა მგზავრმა, 1977 წელს დაბადებულმა გურამ ჩალაგაშვილმა, სამართალდამცველების მიმართ გამოხატა აგრესია, არღვევდა საზოგადოებრივ წესრიგს, რის შემდეგაც საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლით გათვალისწინებული დარღვევისთვის ის ადგილზე დააკავეს, – ასეთი განცხადება გაავრცელა შსს-მ.

გუშინვე გურამ ჩალაგაშვილი სასამართლოში გადაიყვანეს, სადაც მისი პროცესი გაიმართა.

სხდომაზე ერთ-ერთმა სამართალდამცველმა განაცხადა, რომ 2019 წლის 1 ოქტომბერს, გადამოწმების მიზნით ავტომობილი გააჩერეს, რომელშიც უკანა სავარძელზე გურამ ჩალაგაშვილი იმყოფებოდა. პოლიციელის თქმით, გურამ ჩალაგაშვილმა პოლიციელებს უთხრა, რომ ისინი „გაიშნიკებივით“ იქცეოდნენ.

– ამის შემდეგ კი მან სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა საქართველოს მთავრობას და პრემიერ-მინისტრის მისამართით იგინებოდა, რაც გამვლელებმა გაიგეს, ასევე კორპუსის მცხოვრებლებს ესმოდათ, – განაცხადა პოლიციელმა.

მისივე თქმით, ჩალაგაშვილს სამართალდამცველებმა მოუწოდეს, რომ დამშვიდებულიყო, მაგრამ ის არ დაემორჩილა მათ და დააკავეს.

პოლიციელმა ისიც დააზუსტა, რომ პოლიტიკოსი აღკოჰოლური თრობის ქვეშ იმყოფებოდა.

საბოლოოდ გურამ ჩალაგაშვილი დარბაზიდან გათავისუფლდა. აღნიშნულის მიზეზი შინაგან საქმეთა სამინისტროს მხრიდან სასამართლო პროცესზე არასრული მტკიცებულებების წარდგენა იყო, რის გამოც სასამართლო პროცესი გადაიდო.

იქიდან გამომდინარე, რომ ჩალაგაშვილის დაკავებიდან 12 საათი გავიდა, იგი მოსამართლემ სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლა.

– ბიძინა ივანიშვილი იყო ჩემი სამიზნე, მას ვლანძღავდი, გავლანძღავ ახლაც და იქამდე, ვიდრე ამ ხელისუფლების ხელისუფალი და სისხლისმსმელია, მივაყოლებ გახარია-თვალთხარიას, – განაცხადა გურამ ჩალაგაშვილმა გათავისუფლების შემდეგ.

მისივე თქმით, საპატრულო პოლიციამ მტკიცებულება ვერ წარმოადგინა, ანუ კამერის ჩანაწერი, ტექნიკური პრობლემა ჰქონია შინაგან საქმეთა სამინისტროს.

– ეს ყველაფერი ფარსია და უნდოდათ, ჩალაგაშვილი შეეშინებინათ.

მოსახლეობას მინდა ერთი რამ ვუთხრა, თუ საკუთარ მანქანაში, უკანა სავარძელზე იქნებით დამჯდარი და ფანჯარა გექნებათ ჩამოწეული, მოინდომებთ სიმართლის თქმას, რომ ბიძინა ივანიშვილი არის სისხლისმსმელი, მას აუგად მოიხსენიებთ, ამ შემთხვევაში, აუცილებლად, მესამე სართულზე, 50 მეტრში მდგარ კორპუსში ვიღაც გაიღვიძებს, გამოვა და იტყვის, რომ თქვენ ხართ დამნაშავე. ეს არის დღევანდელი სამართალი, სხდომა დარჩა მხიარული, – აღნიშნა ჩალაგაშვილმა.

მან განაცხადა, რომ 3 თვეა, უთვალთვალებენ.

– თუ ჯარიმა დამეკისრება, აუცილებლად ჩავდებ კონვერტში და ბიძინას ფოსტით გავუგზავნი, ბევრი ფული აქვს და გადაიხადოს.

რაც ახლა ხდება, ეს ყველაფერი იმის გაგრძელებაა, რაც სამი თვეა უკვე მიმდინარეობს. დაყვებოდნენ ირაკლი ოქრუაშვილს და დაიჭირეს, მერე მე მომადგნენ. 3 თვეა, ყველგან ვამბობ, რომ სუს-ის მანქანა დამყვება. 3 დღეა, მანქანა გავყიდე და გაცოფდნენ, ვერ მიპოვეს.

საბოლოო ჯამში, დაკავების დღეს, მოპირდაპირე მხარეს, მანქანიდან პატრულმა ეტყობა რაღაც შეტყობინება მიიღო, უცებ მოატრიალა მანქანა და გაგვაჩერა. ამას გარდა, მინდა ვთქვა, რომ მოწმე მესამე სართულზე ვერაფერს გაიგებდა, თან ჩიტმა ამბავი მომიტანა, რომ ეს მოწმე სმენადაქვეითებული ყოფილა. როგორ შეწუხდა, ვერ გეტყვით, – განაცხადა ჩალაგაშვილმა.

ადა მარშანია: „ქართულმა ოცნებამ“ მწამებლები და მკვლელები ჩაიხუტა გულში“

„პატრიოტთა ალიანსის“ წევრი ადა მარშანია „ქართულ ოცნებას“ აკრიტიკებს. მისი თქმით, მმართველმა გუნდმა ქართველებს უღალატა, გულში ჩაიხუტა მწამებლები და მკვლელები.

– დღეს ნერვები მომიშალეს. „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი ლიდერი ირაკლი სესიაშვილი ნახევარი საათი იმის ჩამოთვლაში იყო, რა დანაშაული აქვს ჩადენილი ნაციონალურ მოძრაობას, კერძოდ, გიგა ბოკერიას.

ეს ხალხი პარლამენტში რატომ ზის და არ სხედან ციხეში? დღევანდელი დღე ორივე ძალას მივულოცე. მეშვიდე წლისთავზე რა მივიღეთ? დანაშაულებრივი კობიტაციის პოლიტიკა. ნაციონალური მოძრაობა ვინ და რა არის, ამაზე არ შევჩერდები, მაგრამ „ქართული ოცნება“ შვიდი წლისთავზე ოპონენტის მსგავსი გახდა – ხელს აფარებს მკვლელებს, მწამებლებსა და სახელმწიფო დამნაშავეებს და რით არიან უკეთესები? ქართველებს უღალატეს, გულში ჩაიხუტეს მწამებლები და მკვლელები, – აღნიშნა ადა მარშანიამ.

გახარია: „დავიცავთ როგორც ლარის კურსს, ასევე ფასების სტაბილურობას“

– ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ ეროვნულ ბანკთან ერთად სრული კოორდინაციით, რომ დავიცვათ როგორც ლარის კურსი, ასევე ფასების სტაბილურობა.

ამის შესახებ ჟურნალისტებს პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ ლარის კურსთან დაკავშირებით განუცხადა.

ეკონომიკის სფეროს ექსპერტებთან შეხვედრის დასრულების შემდეგ პრემიერმა ეროვნული ბანკის მიერ გატარებული პოლიტიკა მოიწონა.

– იმას, რაც დღეს ეროვნულმა ბანკმა გააკეთა, იმ ნაბიჯებს, რაც გადადგა – უცხოურ ვალუტაში სარეზერვო მოთხოვნების შემცირებისთვის – ჩვენი მთავრობა სრულად მიესალმება და მხარს უჭერს.

ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ ეროვნულ ბანკთან ერთად სრული კოორდინაციით, რომ დავიცვათ როგორც ლარის კურსი, ასევე ფასების სტაბილურობა, რამეთუ გვესმის, რომ ეს არის ჩვენი მოქალაქეების ინტერესი.

ეს განხორციელდება სრული კოორდინაციით მთავრობასა და ეროვნულ ბანკს შორის. ის ნაბიჯები, რაც ეროვნულმა ბანკმა გადადგა, სრულ მხარდაჭერას იმსახურებს მთავრობისას, – განაცხადა გიორგი გახარიამ.

ეროვნული ბანკის პრეზიდენტ კობა გვენეტაძის განცხადებით, კომერციულ ბანკებს უცხოურ ვალუტაში სარეზერვო მოთხოვნები 5%-ით, 25%-მდე შეუმცირდებათ, რის შედეგადაც დამატებით 700 მილიონი დოლარის გასესხებას შეძლებენ.

ინტერპრესნიუსის კითხვაზე, რას გულისხმობდა ფინანსთა მინისტრი ივანე მაჭავარიანი, რომ დამატებითი ზომების მიღებას გეგმავს ეროვნული ბანკი, გვენეტაძე აცხადებს, რომ უცხოურ ვალუტაში მინიმალური სარეზერვო მოთხოვნები შემცირდება, რაც გაცვლითი კურსის დასტაბილურებასა და ინფლაციაზე ზეწოლის მოხსნას შეუწყობს ხელს.

შოთა შალელაშვილს სადეპუტატო უფლებამოსილება შეუწყდა

საპარლამენტო უმრავლესობის წევრ შოთა შალელაშვილს სადეპუტატო უფლებამოსილება შეუწყდა.

შესაბამის დადგენილებას პარლამენტის პლენარულ სხდომაზე გუშინ, 1 ოქტომბერს, უყარეს კენჭი.

როგორც საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის თავმჯდომარე გიორგი კახიანმა განმარტა, შოთა შალელაშვილმა სადეპუტატო მანდატის დატოვების მიზეზად სამეწარმეო საქმიანობა დაასახელა.

შოთა შალელაშვილმა სადეპუტატო მანდატის ვადაზე ადრე დატოვების შესახებ განცხადებით პარლამენტის თავმჯდომარეს სექტემბერში მიმართა. სავარაუდოდ, მას „ქართული ოცნებიდან“ სიით მომდევნო კანდიდატი, ლევან მგალობლიშვილი, ჩაანაცვლებს.

ფოთში ახალი პორტის მშენებლობა იწყება

ფოთში ახალი პორტის მშენებლობა იწყება. „პეის ტერმინალის“ ტერიტორიაზე გუშინ, 1 ოქტომბერს, კაფსულის ჩადების ოფიციალური ცერემონია გაიმართა.

პროექტი აშშ-ის უცხოური ინვესტიციების კორპორაციის მიერ 50 მილიონი დოლარით დაფინანსდა.

მთავრობა აცხადებს, რომ პროექტის განხორციელებისას დამატებით 500-მდე სამუშაო ადგილი შეიქმნება.

– ეს არ არის ანაკლიის პორტის ალტერნატივა. ჩვენ როგორც ვხედავთ, ეს არის მხოლოდ ერთი სატერმინალო ინფრასტრუქტურის განვითარება, თუმცა არც მასშტაბებით, არც ტვირთებით, არც ზოგადად განვითარების მასშტაბითაც, ეს პროექტი, რა თქმა უნდა, ვერ იქნება ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის ალტერნატივა.

მოგეხსენებათ, ანაკლიის პროექტის პირველი ფაზა გათვლილია 8 მილიონი ტონა ტვირთის გადამუშავებაზე, რომელიც 100 მილიონ ტონამდე უნდა გაიზარდოს. ამდენად, ეს პროექტები, თავიანთი ზომებიდან გამომდინარე, ერთმანეთის კონკურენტები ვერ არიან. თუმცა ყველა პროექტის განვითარება ჩვენთვის მნიშვნელოვანია, – განაცხადა მაია ცქიტიშვილმა.

აშშ-ის ყოფილი სახელმწიფო მდივანი და „ოლბრაიტ სტოუნბრიჯ გრუპის“ ხელმძღვანელი მადლენ ოლბრაიტი ფოთის პორტის გაფართოების პროექტის დაწყებას წერილით გამოეხმაურა.

მისი განცხადებით, ეს პროექტი იმის მანიშნებელია, თუ რისი მიღწევა შეუძლიათ შეერთებულ შტატებსა და საქართველოს ერთად მუშაობის პირობებში.

– მე განსაკუთრებით მახარებს შეერთებული შტატების მთავრობის მტკიცე მხარდაჭერა ამ პროექტისთვის, მათ შორის, 50 მილიონი დოლარის ინვესტიცია, – განაცხადა აშშ-ის ყოფილმა სახელმწიფო მდივანმა.

მისი შეფასებით, ფოთი მნიშვნელოვან სავაჭრო ცენტრს წარმოადგენს და მისი გაფართოება დაეხმარება ამ ქალაქს მეტი სარგებლის მიღებაში.

– ეს წაადგება არამარტო ფოთს, არამედ საქართველოს და მთელი რეგიონის ეკონომიკურ განვითარებას, – განაცხადა მადლენ ოლბრაიტმა.

პარლამენტმა სემეკის თავმჯდომარედ დავით ნარმანიას კენჭისყრა გადადო

გუშინ, 1 ოქტომბერს, პარლამენტმა საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე დავით ნარმანიას კანდიდატურის კენჭისყრა გადადო.

კენჭისყრის გადადების მიზეზი საქართველოს პრეზიდენტის მიერ აღნიშნულ თანამდებობაზე ნარმანიას ნომინირების პროცედურა გახდა.

„ევროპული საქართველოს“ წევრის, ხათუნა გოგორიშვილის, განცხადებით, საქართველოს პრეზიდენტს მხოლოდ სემეკ-ის წევრების წარდგენის უფლება აქვს.

– ჩემი განცხადება ნამდვილად არ ეხება პირადად დავით ნარმანიას. საქმე ეხება მისი წარდგენის პროცედურას. საქართველოს პრეზიდენტს, როგორც ჩანს, სხვა პრობლემებთან ერთად, იურიდიული პრობლემაც გააჩნია. კონსტიტუციის თანახმად, პრეზიდენტს მხოლოდ მარეგულირებელი კომისიის წევრების წარდგენის უფლება აქვს, მას თავმჯდომარის წარდგენის უფლებამოსილება არ გააჩნია.

თუ პარლამენტი ამ დადგენილებას უყრის კენჭს, ეს იქნება კონსტიტუციის დარღვევა, პრეზიდენტს დავით ნარმანიას თავმჯდომარედ წარდგენის უფლება არ ჰქონდა, შესაბამისად, პარლამენტს უფლება არ აქვს, კენჭი უყაროს, – განაცხადა ხათუნა გოგორიშვილმა.

ამის შემდეგ პარლამენტის თავმჯდომარემ 5-წუთიანი ტექნიკური შესვენება გამოაცხადა, შემდეგ კი კენჭისყრის გადადების შესახებ გააკეთა განცხადება.

– ვინაიდან ნომინირების პროცედურამ იურიდიული აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია, მე გთავაზობთ, რომ ავიღოთ დამატებითი დრო კონსულტაციისთვის და გადავდოთ ეს საკითხი, – თქვა არჩილ თალაკვაძემ.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 294-02-55
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი: 294-06-91
ვებგვერდი: www.akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

ლევან ხაბეიშვილი: „ბოკერიამ 2016 წელს მანდატები რომ მოიპარა, მაშინ არ ახსოვდა სააკაშვილი?“

„ბოკერიასთან გაერთიანება ხმებს არ მოგვიტანს“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს **ლევან ხაბეიშვილი** პასუხობს.

– ლევან, როგორ აფასებთ „ოცნების“ 7-წლიან მოღვაწეობას?

– 2012 წელს ხალხს უთხრეს, რომ პენსია იქნებოდა 220 ლარი, უფასო ფული იქნებოდა, მრავალწლიანი უპროცენტო კრედიტები, სოფელში მილიონები ჩაიდებოდა, გაიაფდებოდა ბენზინი ერთი ლარით და კომუნალურები განახევრდებოდა. ამის ნაცვლად რა მივიღეთ?!

– რა?

– კომუნალურებიც გაძვირდა, ბენზინიც გაძვირდა, მერვე წელი იწყება უკვე და პენსია ახლა გახდება 220 ლარი, თუმცა ამას გაზრდა არ ჰქვია – თუ 2012 წელს 140-150 ლარით იყიდდი გარკვეული რაოდენობის პროდუქტს, დღეს ამ 200 ლარით ნამდვილად ვერ იყიდით იმავე პროდუქტს.

ყაჩაღი კრიმინალი ხელისუფლება, რომელიც ძარცვავს ჩვენს მოსახლეობას, სახელმწიფოს მტერი გამოდგა.

– რას გულისხმობთ?

– ხელისუფლება პირდაპირი მნიშვნელობით შეეკრა რუსეთის ფედერაციას, პუტინს და ასრულებენ მის დავალებებს. დაგვისვეს პრემიერ-მინისტრად თვალთხარია გახარია. როგორ დააჯილდოვეს გავრილოვის ღამის შემდეგ, როგორ არის ეს კაცი რუსეთის პირდაპირი აგენტი, როგორ დადიოდა რუსეთში ლონდონის გავლით, ჩვენმა საზოგადოებამ ძალიან კარგად იცის.

– ლევან, სად არის ამ დროს ოპოზიცია, რატომ ხართ დაკავებული ერთმანეთთან დაპირისპირებით? „ევროპული საქართველო“ და ნაციონალური მოძრაობა ერთმანეთს გააფთრებული ებრძვით. რას ვერ იყოფთ? ეს არ არის სერიოზული პრობლემა?

– კი, ნამდვილად პრობლემაა, ოღონდ პრობლემაა ბოკერიასა და „ევროპული საქართველოს“ გარკვეული ლიდერების მხრიდან, იმიტომ, რომ უკანასკნელი სამი კვირის განმავლობაში მათ კამპანია დაიწყეს ნაციონალური მოძრაობის წინააღმდეგ და ამას საზოგადოება კარგად ხედავს.

ვერც ერთ ეთერს ვერ გაიხსენებთ უკანასკნელი თვეების, დღეების განმავლობაში, სადაც ნაციონალური მოძრაობის რომელიმე ლიდერი თავს დაესხა „ევროპული საქართველოს“ რომელიმე ლიდერს. პირიქით, მთელი ამ ხნის განმავლობაში ჩვენ ვამბობდით, რომ ერთიანობა არის მნიშვნელოვანი და ახლაც ვამბობთ. განსხვავებები კი არ უნდა ვეძებოთ, პირიქით, უნდა ვეცადოთ, ერთმანეთთან ვნახოთ თანხვედრა იმისთვის, რომ საქართველოში ერთხელ და სამუდამოდ ეს ცუდი მმართველობა დავასრულოთ.

უნდა შევეგუოთ ერთმანეთს, რადგან ხვალზეგ აუცილებლად იქნება კოალიციური მთავრობა. მთავრობა კი უნდა იყოს ხალხზე ორიენტირებული, ვინ უკეთ რას გააკეთებს, თუმცა ბოკერია ამ წინასაარჩევნოდ თავს ესხმის მიხეილ სააკაშვილს.

– რა უნდა ბოკერის?

– ნამდვილად არ ვიცი, ბოკერიას რა უნდა. ბოკერიასადმი ჩემი პირადი დამოკიდებულება საზოგადოებამ ძალიან კარგად იცის და ამაზე ღიად მისაუბრია, თუმცა დღეს არ ვისაუბრებ ამაზე. მე ეს თემა ამოვწურე. არ მინდა!

ოპოზიცია, რომელიც არის გათითოკაცებული, რომელიც არის დაპირისპირებაში ერთმანეთთან, ეს არის საჩუქარი კრიმინალი ბიძინა ივანიშვილის ხელისუფლებისთვის და ამ საჩუქრის გაკეთება არ უნდა უნდოდეს, წესით, პასუხისმგებლობის მქონე ოპოზიციას.

– ბოკერია და მისი პარტია უპასუხისმგებლო ოპოზიციაა?

– უკაცრავად, მაგრამ, როცა 3 კვირის განმავლობაში თავს გესხმიან, ცილისწამებით არიან დაკავებული, მიხეილ სააკაშვილს ლანძღავენ გიგა ბოკერია და კაკო ბობოხიძე, ეს მართლა სასაცილოა!

ბოკერიას მხრიდან სააკაშვილის ლანძღვა და განსხვავებებზე საუბარი, როცა ბიძინა ივანიშვილი გვყავს ხელისუფლებაში, როცა მის თანაგუნდელებსაც დევნიან და ციხეშიც სხედან, უკაცრავად, მაგრამ არ მიმაჩნია სწორ და ნორმალურ ტაქტიკად.

– ანუ ბოკერია ივანიშვილის წისქვილზე ასხამს წყალს?

– მე არ მინდა, შეთქმულების თეორიაში შევიდე, მაგრამ, ნებსით თუ უნებლიეთ, ასეა. ის ახმოვანებს პირდაპირ სუს-ისა და ივანიშვილის მესიჯებს.

რა არის სუს-ის მესიჯი? – არ მინდა მიშა, არც ნაცი ვარ და არც ქოცი, ყველა მინუს სააკაშვილი. აი, ამ მესიჯზე დაჯდა ბოკერიაც. რუსეთიდან რა სიგნალი მოდის? – ყველა მინუს სააკაშვილი! ყველას დაველაპარაკებით, მინუს სააკაშვილი. ბოკერიაც აჰყვა ამ მესიჯებს. ყველა მინუს სააკაშვილი – ამბობს ბოკერია!

2016 წელს მანდატები რომ მოიპარა, მაშინ არ ახსოვდა სააკაშვილი? პარლამენტში რომ შევიდნენ, ერთი თვის მერე აღმოაჩინა, რომ მიშა სააკაშვილთან თურმე იდეოლოგიური განსხვავებები ჰქონია! ამის მერე საზოგადოებამ თავად განსაჯოს, ვინ არის უფრო გულწრფელი.

თუმცა, მიუხედავად ამისა, მე და ჩემი კოლეგები არ ვაფასებთ ადამიანებს პირადი შეხედულებებით, ბოღმითა და ასე შემდეგ. არის განსხვავება, მაგრამ არის ბევრი თანხვედრა და ისეთი საკითხები, რაზეც უნდა შევთანხმდეთ, რომ ოპოზიცია იყოს ერთიანი. აი, ეს არის ჩვენი ამოცანა, თუმცა ბოკერია უწყობს ივანიშვილს ხელს იმაში, რომ დღეს ჩვენ ვისაუბროთ ოპოზიციის დაპირისპირებაზე! ყველაფერი გააკეთეს ამ სამი კვირის განმავლობაში ამისთვის!

– ანუ გაერთიანება არ იქნება?

– ბოკერიასთან გაერთიანება, არა მგონია, ზოგადად, საინტერესო იყოს. არც ის მგონია, რომ ელექტორულად ბოკერია რამის მომტანი იყოს საერთოდ პოლიტიკურ სივრცეში.

მნიშვნელოვანია ერთი რამ – საზოგადოებამ გაიგოს, რომ თუ თავად არ გაერთიანდა, ისე არაფერი გამოვა. ისეთი მოცემულობა უნდა შეიქმნას, რომ გაერთიანება იყოს აპრიორი და ყველაზე მნიშვნელოვანი. პოლიტიკური პარტია, რომელიც გამოვა და იტყვის, ჩვენ მარტო დავამარცხებთ ივანიშვილსო, არის მატყუარა! ის იბრძვის საკუთარი სიკეთისთვის, თანამდებობისა და პარლამენტში რამდენიმე მანდატისთვის.

ეს ცალსახად ასეა. ამ ბრძოლაში ერთად უნდა ვიყოთ, თუ გვინდა, რომ ჩვენი ქვეყანა ამ კრიზისიდან გამოვიყვანოთ.

ოთარ კვირიკაშვილი: „ივანიშვილმა ჩალაგაშვილი პირადი შურისძიების გამო დააკავა“

იაგო ნაცვლიშვილი

პოლიტიკური მოძრაობა „გამარჯვებული საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი გურამ ჩალაგაშვილი დააკავეს. ირაკლი ოქრუაშვილის პარტიაში ჩალაგაშვილის დაკავებას პოლიტიკური მოტივაციით ხსნიან.

„ახალ თაობასთან“ „გამარჯვებული საქართველოს“ წევრი **ოთარ კვირიკაშვილი** საუბრობს.

– რა მოხდა გურამ ჩალაგაშვილთან დაკავშირებით? რა ინფორმაციას ფლობთ პარტიაში და რას უკავშირებთ მის დაკავებას?

– რეალურად საქმე აღძრულია წვრილმანი ხულიგნობით, მაგრამ ფაქტია, რომ ის დაკავებული იყო ჩვენი პარტიის საქმიანობიდან გამომდინარე. ირაკლი ოქრუაშვილის დაკავების შემდეგ ყველაფერი გადიოდა გურამ ჩალაგაშვილზე და ის იყო ძალიან აქტიური ადამიანი პოლიტიკაში.

– ანუ ამბობთ, რომ პოლიტიკური მოტივაციით დააკავეს?

– რა თქმა უნდა, პოლიტიკური მოტივით დაიჭირეს. ის იყო ძალიან აქტიური ადამიანი, რადიკალურად უპირისპირდებოდა და ეს არის ბიძინა ივანიშვილის პირადი შურისძიება და იმის მცდელობა, რომ საქართველოში დათესონ თავიდან ბოლომდე პოლიტიკური ტერორი.

– ანუ გამოდის, რომ ამ შემთხვევაში ივანიშვილის შურისძიების მოტივი მუშაობს?

– რა თქმა უნდა. ივანიშვილი განსაკუთრებულად მტრულად ექცევა „გამარჯვებულ საქართველოს“, განსაკუთრებით აგრესიულად არის ჩვენ მიმართ განწყობილი და ეს არც არის გასაკვირი, იმიტომ, რომ რეალურად ის ხედავ კონკურენტს ირაკლი ოქრუაშვილში და ჩვენს პარტიას ყველა ნაბიჯზე ბარიერს უქმნის იმისათვის, რომ პარტიამ არ გადადგას ის პირველი ნაბიჯები, რათა 2020 წლის არჩევნებისთვის პარტია მზად არ იყოს და ისევ თავისი სატელიტი პარტიები ჰყავდეს გარშემო. ოქრუაშვილი არ იქნება მასთან ისე, როგორც სხვა პარტიები ჰყავს.

– სატელიტ პარტიებში ვის გულისხმობთ?

– არიან სატელიტი პარტიები, ახლა არ დავასახელებ, მაგრამ გამოჩნდება. ფაქტობრივად, ყველამ ყველაფერი იცის და მალე გამოჩნდება. მოვა დრო და გამოჩნდება, ვინ ითანამშრომლებს „ქართულ ოცნებასთან“. ამას ღიად დავინახავთ. პოლიტიკური კონტექსტიდან გამომდინარე, წინასწარ არ მინდა საუბარი.

– როგორც მივხვდი, ამაში მხოლოდ პატრიოტთა ალიანსს არ გულისხმობთ, რომელზეც უკვე ღიად არის საუბარი.

– არა. პატრიოტთა ალიანსი აღარც არის სატელიტი პარტია. ეს პარტია უკვე „ქართული ოცნებაა“ და ღიად თამაშობს მის თამაშს, მაგრამ იქნებიან სატელიტი პარტიებიც, რომლებიც რეალურად „ქართულ ოცნებასთან“ ითანამშრომლებენ, ბიძინა ივანიშვილის მიმართ ლოიალურები არიან და ივანიშვილს ურჩევნია, ასეთი ხალხი ჰყავდეს, ვიდრე ირაკლი ოქრუაშვილისნაირი პრინციპული ადამიანები და ჩვენი პარტიისნაირი პრინციპული პარტია, რომელიც არანაირ თანამშრომლობაზე არ წავა ივანიშვილთან.

– რატომ მაინცდამაინც თქვენი პარტია და რატომ მაინცდამაინც ირაკლი ოქრუაშვილი?

– იმიტომ, რომ ივანიშვილს არ უყვარს პრინციპული ხალხი. ვისაც ვერ ყიდულობს, შემდეგ მათ იზიზღებს და შემდეგ ეპყრობა ისე, როგორც მტრებს.

– სხვა პარტიებიც არის, უფრო რეიტინგულებიც. არის ნაციონალური მოძრაობა, „ევროპული საქართველო“...

– ნაციონალურ მოძრაობაზე ივანიშვილი ფიქრობს ასეთ რამეს, რომ სააკაშვილი არ არის საქართველოში, მელია, ასე თუ ისე, განეიტრალებულია და ოპოზიციურ ველზე, ფაქტობრივად, არ არის ფიგურა, რომელსაც შეიძლება ეთამაშა გამაერთიანებლის როლი და ყოფილიყო ოპოზიციის ლიდერი – ეს იყო ირაკლი ოქრუაშვილი.

ჩვენი საზოგადოება ფოკუსირებული იყო მისკენ და ივანიშვილი მიხვდა, რომ ოქრუაშვილი არ არის ის ადამიანი, რომელსაც ის ასე ადვილად მოუგებდა. რაც დრო გავიდოდა, ოქრუაშვილს კიდევ უფრო მეტი პრობლემა შეექმნებოდა. ივანიშვილი ცდილობს, ის ხალხიც გააჩეროს, ვინც პარტიაში დარჩა და ვინც ოქრუაშვილის დაწყებულ საქმეს აგრძელებს, ცდილობს, რომ ეს ხალხი გააჩეროს, გაანეიტრალოს, დააშინოს, ბარიერები შეუქმნას, რათა 2020-ის არჩევნებამდე პარტია ვერ მივიდეს იმ ტემპით, რა ტემპითაც უნდა მივიდეს.

– სატელიტებს შორის „ევროპულ საქართველოსაც“ ხომ არ მოიაზრებთ?

– ასე ერთიანად სატელიტად ვერ მოვიაზრებ „ევროპულ საქართველოს“. ამასაც დრო გამოაჩენს. ამ ეტაპზე ამბობენ, რომ

გაგრძელება მე-4 გვერდზე

„სააკაშვილთან დაპირისპირებაში ბოკერიამ მოიგო“

რამაზ საყვარელიძე: „არა მგონია, მიშა საქართველოში ციხეში ჩაჯდომისთვის ემზადებოდეს“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი **რამაზ საყვარელიძე** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო რამაზ, მიხეილ სააკაშვილის განცხადებებს არაერთგვაროვანი შეფასებები მოჰყვა. ის ისევ იმეორებს, რომ არჩევნებს აზრი არ აქვს, რომ წინასაარჩევნოდ ქვეყანაში ბრუნდება. ეს ყველაფერი რა გზავნილებია მისი მხრიდან?

– 2016 წლის წინასაარჩევნო რიტორიკას იმეორებს. მაშინაც სწორედ ამ კონტექსტში საუბრობდა სააკაშვილი. იგი ძალიან ხშირად იმეორებს თავის თავს, უჭირს ერთხელ არჩეული პიარ-სტრატეგიის უარყოფა. ერთხელ თქვა, ჩამოვდივარო და იმის მერე იმეორებს.

– და რომ არ ჩამოდის, ეს ხომ მის ამომრჩეველში იწვევს იმედგაცრუებას?

– რა თქმა უნდა, მაგრამ ამას არაფრად დაგიდევთ, ამბობს და მორჩა.

– კიდევ ერთი, არჩევნების არ სჯერა. თუმცა, არც იმას აკონკრეტებს, როგორ წარმოუდგენია წინააღმდეგ შემთხვევაში ხელისუფლებაში დაბრუნება.

– თუ არჩევნებზე ამბობ უარს, სხვა რა გზა რჩება, თუ არა რევოლუცია?! იცის, რომ რევოლუციაზე პირდაპირ საუბარი მიუღებელია ხალხისთვის პირველ რიგში და დასავლეთისთვის, ამიტომ არ აკონკრეტებს, მაგრამ პირდაპირ ამბობს, რომ არჩევნებს აზრი არ აქვს. მესამე გზაც არის თუ მას გულისხმობს, არ ვიცი.



– ეს რა გზაა?

– სხვა სახელმწიფოს ჯარს ჩაუდგეს სათავეში და ისე შემოვიდეს.

აშკარაა, რომ ამ განცხადებების მიმართ ამომრჩევლის დამოკიდებულება არ არის სერიოზული. არ ვიცი, მისი ფანატიკური ამომრჩევლები ანუ ფანები ინარჩუნებენ თუ არა სერიოზულობას, მაგრამ აშკარაა, რომ საზოგადოებაში სერიოზული დამოკიდებულება აღარ არის ამ განცხადებების მიმართ.

ნაციონალური მოძრაობის ამოცანა ახალი ამომრჩევლის მოზიდვა უნდა იყოს. სწორედ ახალი ელექტორატის მოზიდვაზე უნდა იმუშაოს და არა იმის, ვინც მას ისედაც უჭერს მხარს. ამ მიმართულებით მისი განცხადებები იყო სრულიად არაფრისმომცემი. მე ვიტყოდი, პირიქით იყო.

– ხომ არ ფიქრობთ, რომ სწორედ ახალი ამომრჩევლის მოზიდვას ცდილობს თუნდაც რელიგიურობის ხაზგასმით?

– აბსოლუტურად გეთანხმებით. რელიგიურობის ჩვენება ამის ხაზგასმა იყო. სწორედ ამაზე მიუთითებს, მაგრამ კომიკური მომენტი ახლავს ამ ყველაფერს. ეს ყველაფერი ბევრად უფრო განსხვავებულად შეეძლო გაეკეთებინა. შეეძლო ეკლესიისთვის შეეწირა და ა.შ. სხვა უამრავი გზა არის.

ბოკერია აშორებდა მას ეკლესიას – ეს თეზისი ძალაუნებურად კომიკურობის კონტექსტში განიხილება. ბოკერიას პასუხი – მალე ჩემი ცხრაწლიანი მმართველობის მსხვერპლად გამოაცხადებს თავს – სრულიად ადეკვატური იყო. ამიტომ ეს პასაჟი სრულად იყო სააკაშვილისთვის წამგებიანი და, პირიქით, მომგებიანი იყო ბოკერიასთვის და „ევროპული საქართველოსთვის“.

– შეიძლება ცდილობს, „ევროპულ საქართველოს“ წაართვას ამომრჩეველი. ძირითადად მათ ხომ ერთი ამომრჩეველი ჰყავთ.

– რა თქმა უნდა, პირველ რიგში, ეს ამოცანა აქვს, მაგრამ ის ამომრჩეველი „ევროპულ საქართველოსთან“ სწორედ იმიტომ წავიდა, რომ სააკაშვილი ასეთი რადიკალური და ეგზალტირებულია.

– ივანიშვილი თუ სააკაშვილი – კვლავ ამ დაპირისპირების ჭრილში ჩაივლის 2020 წლის არჩევნები?

– სააკაშვილის რიტორიკა მთლიანად ივანიშვილზეა აგებული. ეს რიტორიკა ბევრად უფრო აწყობს ივანიშვილს, ვიდრე სააკაშვილსა და ნაციონალურ მოძრაობას, მაგრამ ამას ან ვერ აცნობიერებს სააკაშვილი, ან არ უნდა, გააცნობიეროს, კვლავ ივანიშვილის საპირწონედ აყენებს თავს – ან მე, ან ის. არადა, ეს არ არის მომგებიანი სააკაშვილისთვის. სააკაშვილი შესანიშნავ სამსახურს უწევს ივანიშვილს, ისე, რომ შეიძლება, ამას ვერც აცნობიერებს.

– შეიძლება, მართლაც ჩამოვიდეს?

– აქამდე ვერ ჩამოვიდა.

– შეიძლება, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ თუნდაც ციხეში წასვლით საკუთარი თავის რეანიმირება მოახდინოს?

– ის არც კი განიხილავს ამ გზას, არც კი უშვებს ამას. არა მგონია, სააკაშვილს ძალიან უნდოდეს ციხეში ყოფნა. ეს მხოლოდ აუდიტორიასთან სალაპარაკოდ სჭირდება, რეალურად კი სულ სხვანაირად ცხოვრობს. უკრაინის პოლიტიკაშია, ამერიკაში ქარხანა იყიდა და ღვინოს უშვებს. ამ ცხოვრებით ცხოვრობს და, არა მგონია, გმირული ნაბიჯების გადასადგმელად ემზადებოდეს ანუ ციხეში აპირებდეს წასვლას, თორემ აქამდე ბევრჯერ ჰქონდა ამის შესაძლებლობა.

შევიძენ

ძველ ანტიკვარულ ნივთებს,

ნახატ სურათებს,

ძველ წიგნებს და ფაიფურს.

ტელ: 598-43-98-57

„ლავროვი-ზალკალიანის შეხვედრამ დაადასტურა, რომ საქართველო რუსეთის ვასალია“

მარიამ მჭედლიშვილი

ქვეყანაში განვითარებულ მოვლენებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ყოფილ დეპუტატს, „საქართველოს გადარჩენის მოძრაობის“ ლიდერ **მირიან მირიანაშვილს**.

– ექსპრეზიდენტი სააკაშვილი ამბობს, რომ რამდენიმე თვეში საქართველოში ჩამოვა. ეს რეალურია?

– არა. მიხეილ სააკაშვილს აქამდეც არაერთხელ დაუქადნია, რომ საქართველოსკენ მოემართება. ადრე უფრო მჭიდრო ვადებს ასახელებდა. ყოფილმა პრეზიდენტმა ეს ვერც ადრე მოახერხა და ახლა მით უმეტეს ვერ შეძლებს.

დასავლეთის პოლიტიკური ცენტრები სააკაშვილის მიმართ დიდი ხანია, ძალიან ცუდად არიან განწყობილი. რაც დრო გადის, მის მიმართ დასავლეთის უნდობლობა იზრდება. ასე რომ, სააკაშვილის დაპირება საქართველოში ჩამოსვლაზე პოლიტიკური ბლეფია. მისი ბოლო განცხადებები ნიშნავს რუსული პოლიტიკური კულინარიის წინა პლანზე წამოწევას. სააკაშვილი რუსეთის დავალებებს ასრულებდა 22 წლის წინაც. სააკაშვილი დიდხანს ინიღბებოდა და თავს ასაღებდა პროდასავლურ დემოკრატ ლიდერად.

– ახლა ნიღაბი ჩამოიხსნა?

– დასავლეთის თვალში კამუფლაჟი ადრევე გაიშიფრა. რაც ახლა ხდება, ესაა სააკაშვილის ლოგიკური ტრანსფორმაცია.

– ბოკერიაზე თავდასხმა რისთვის დასჭირდა სააკაშვილს?

– ქართულ პოლიტიკურ თეატრში უკანასკნელ პერიოდში დადგმულ წარმოდგენებში მთავარი როლი მიკუთვნებული აქვს გიგა ბოკერიას. თეატრის ხელმძღვანელები რუსეთში სხედან. მათი კურირებით ბევრი პერსონაჟი, სააკაშვილით დაწყებული, ინაშვილით დამთავრებული, ლანძღავენ გიგა ბოკერიას. მას ეძახიან ყოველგვარი ქართულის მტერს, ეკლესიასთან მებრძოლს და სხვა.

– რა მიზნით?

– პირველი მიზანია ბოკერიას გაპიარება, მეორე – მისთვის დემოკრატიული ალიბის შექმნა. ამ გზავნილების ადრესატი უფრო მეტად დასავლეთის პოლიტიკური ცენტრებია. ავტორებს უნდათ იმის დემონსტრირება, რომ გიგა ბოკერია არის პროგრესული დასავლელი ლიდერი, რომელსაც საქართველოში ყველა მხრიდან ემტერებიან. ბოკერიას კარტი უკვე გაჭრილია. ამის მიუხედავად, ჩრდილოელი დირიჟორი არ ეშვება იმ გეგმას, რომლითაც ბოკერია უნდა შეაგზავნონ დასავლეთის პოლიტიკურ სისტემაში.

– სააკაშვილს კიდევ რის დამტკიცება უნდა?

– სააკაშვილი მესიჯებს უგზავნის თავის მომხრეებს „ვერხუშკიდან“. სხვებზე ინფორმირებულ თავის გარემოცვას სააკაშვილი აიმედებს, აჯერებს, რომ მოსკოვში ივანიშვილის გაშვება და მისი გამოგზავნა გადაწყვეტილია.

– ქრისტიანული და ქართული ტრადიციების მცველობის გათამაშებაც გეგმებისთვისაა აუცილებელი?

– სააკაშვილსა და მის რუს პატრონებს არ გამოუვიდათ დასავლეთის გაცურება. ჯვრისა და ქრისტიანული ტრადიციებისადმი სიყვარულის დემონსტრირებით სააკაშვილი დასავლეთს აღარ ატყუებს. ის თავისიანებსაც მიანიშნებს, რომ რუსების იმედზეა.

– რუსეთის რა ქმედების გამოხატულებაა ლავროვი-ზალკალიანის მოულოდნელი შეხვედრა ნიუ იორკში? მის ორგანიზებაზე ისევ ურთიერთგამომრიცხავი ცნობებია.

– ლავროვი-ზალკალიანის შეხვედრაზე საქართველოში დამახინჯებული ინფორმაცია ვრცელდება. სინამდვილე სხვაა.

გაეროს გენერალური ასამბლეის სესიის წინ აშშ-მ ამერიკული ვიზები არ მისცა რუსეთის დელეგაციის შემადგენლობის ორ მესამედს, მათ შორის, ლავროვის თარჯიმნებს. ამერიკელებმა რუსეთის დელეგაციას ისიც კი უთხრეს, თარჯიმნები რისთვის გჭირდებათ, სესიის დროს ლავროვი ვის ხვდებაო. გაბრაზებული რუსეთი დაფაცურდა და დაიწყო შეხვედრების ორგანიზება სესიის პარალელურად. ლავროვი საჩქაროდ გაესაუბრა კოლეგებს პოსტსაბჭოთა სივრციდან და სირიიდან. მათ შორის იყო დავით ზალკალიანი.

– რომელმაც შეხვედრა თვითონ მოითხოვა?

– მოითხოვა ზემოდან დავალების შედეგად. ერთი ვერსიით, რუსებმა ამაზე დაურეკეს გახარიას, მეორე ვერსიით – ივანიშვილს. თბილისიდან დავალება მისცეს ზალკალიანს. რუსებმა ლავროვის კოლეგებს თვითონ ათხოვნინეს შეხვედრები.

საჰაერო მიმოსვლას ამ ხანმოკლე საუბრის დროს მართლაც შეეხნენ. ეს თემა რუსეთისთვის აქტუალურია. ფრენების აკრძალვით საქართველოს ეკონომიკა არ ჩამოშლილა, როგორც ზოგიერთი ვარაუდობდა. რუსი ტურისტების ნაწილი მანქანებით შემოდიოდა საქართველოში. ამ გადაწყვეტილებით თვითონ რუსეთმა იზარალა. ერთი წლის განმავლობაში რუსეთის მთავრობა ვალდებულია, თავის ავიაკომპანიებს გადაუხადოს 100 მილიონ დოლარამდე. პირდაპირი ფრენების აღდგენა თბილისთან თვითონ რუსეთისთვის არის უკეთესი.

– ზოგადად, დიალოგი საჭიროა, მაგრამ ამ უცნაურმა შეხვედრამ ბევრი კითხვა დაბადა.

– დიალოგს აზრი ეძლევა მაშინ, როცა ერთმანეთს ესაუბრებიან პარტნიორები. ლავროვთან 8-წუთიანმა გასაუბრებამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ საქართველო რუსეთის ვასალია, საქართველოს პოლიტელიტა კი – აგენტი. პატრონი თავის აგენტს თანასწორივით ვერ დაელაპარაკება.

– ზოგიერთი ქართველი ექსპერტის აზრით, უკრაინაში განვითარებულმა სკანდალმა აჩვენა, რომ ვაშინგტონს უკრაინა და საქართველო უკვე ნაკლებად აინტერესებს.

– საქმე პირიქითაა. ბოლო დროს უკრაინაში მოხდა ისეთი მოვლენები, მათ შორის სკანდალური, რომლითაც დამტკიცდა, რომ ამერიკის პოლიტიკური ელიტისთვის პოსტსაბჭოთა სივრცე, განსაკუთრებით, უკრაინა და საქართველო, პრიორიტეტულია.

ამ თემებმა გადაფარა ვენესუელისა და სპარსეთის ყურის უმწვავესი კრიზისები. აშშ აღარ დაუშვებს რუსეთის პარპაშს საქართველოში და კრემლის კულუარულ გავლენებს. რუსეთში კონსტრუირებული პრორუსული და ფსევდოდასავლური ქართული პარტიები მალე აღმოჩნდებიან პოლიტიკურ სანაგვეზე. მათ შორის იქნება სააკაშვილიც.

2020 წელი დიდი მოულოდნელობებისა და ინტრიგების საარჩევნო წელი იქნება. ამ ცვლილებებით ხალხი ამოისუნთქებს. მანამდე, გაზაფხულზე, არ გამოვრიცხავ რუსეთის პროვოკაციით სიტუაციის არევის მცდელობას.

ოთარ კვირიკაშვილი: „ივანიშვილმა ჩალაგაშვილი პირადი შურისძიების გამო დააკავა“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

არ ითანამშრომლებენ, მაგრამ დრო გამოაჩენს. მე ვფიქრობ, „ევროპულ საქართველოშიც“ დაიწყება გაყოფა და ალბათ სხვადასხვა აზრზე დადგებიან. ამას დრო გვიჩვენებს, მაგრამ ეს მათი შიდა საქმეა.

– როდესაც ირაკლი ოქრუაშვილი დააკავეს, მაშინ იყო „ქართული ოცნებიდან“ გზავნილები, რომ არ ჩამოსულიყო საქართველოში. ახლაც ხომ არ ყოფილა რამე გამაფრთხილებელი გზავნილები?

– ამ შემთხვევაში გამაფრთხილებელი გზავნილები არ ყოფილა. არ ვიცი. პირადად მე არ მიმიღია ასეთი გზავნილი, მაგრამ პირდაპირ თამაშობენ და განახებენ, რომ თუ იქნები აქტიური, თუ არ მიეყიდები და თუ იქნები დამოუკიდებელი, თუ იბრძოლებ სიმართლისათვის, მაშინ განხორციელდება შურისძიების პოლიტიკა.

ეს გააკეთეს იმ ბიჭებთან დაკავშირებით, რომლებიც ახლა დაკავებული არიან 20 ივნისის აქციის დროს. როდესაც ასე ერთი ხელის მოსმით აპატიმრებენ სრულიად უდანაშაულო ხალხს გამოგონილი ბრალდებებით, ამით ქვეყანაში თესავენ შიშსა და განწყობას, რომ თუ შენ არ იქნები მათკენ, ისინი, უბრალოდ, გაგაუბედურებენ.

მაგალითად, ვნახეთ ერთ-ერთი პირი, რომელსაც ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობა აქვს, ეტლში ზის და ვერ გადაადგილდება მის გარეშე, მაგრამ საპატიმროდან არ გამოუშვეს. სამაგიეროდ, უშვებენ სპეცრაზმელებს, რომლებიც ხალხს ამცირებდნენ, ქალებსა და ბავშვებს ესროდნენ დათვის ტყვიებს თვალებში.

ასეთი მეთოდებით მართავს ივანიშვილი ქვეყანას.

„არ არის ადგილი, რომ დავდგა და ვიცხოვრო“

რაზმაძეების ოჯახი, რომელსაც „ლელომ“ სახლი აჩუქა, გუგუტიანთკარში ცხოვრებას არ აპირებს

გუშინ, 1 ოქტომბერს, მოძრაობა „ლელოს“ მიერ გივი რაზმაძისთვის განკუთვნილი კოტეჯი სოფელ გუგუტიანთკარში ჩაიტანეს.

სამშენებლო მასალები ყოფილი სკოლის ეზოში უნდა დაეცალათ, სადაც ახლა 4 ოჯახია ჩასახლებული, თუმცა ამაზე უარი მიიღეს.

„ლელოს“ წარმომადგენლის თეონა დოლენჯაშვილის ინფორმაციით, რაზმაძეების ოჯახს არ სურს, სახლი, რომელიც მამუკა ხაზარაძემ აჩუქა, გუგუტიანთკარში დაიდგას.

– ცოტა არ იყოს დაბნეული ვარ, რადგან აქამდე როგორც ვიცოდი, სხვა პოზიცია ჰქონდათ მათ და მართალი რომ გითხრათ, ცოტა გაოცებულიც ვარ. მიპასუხეს, რომ მათ არ სურთ, ეს სახლი იდგას გუგუტიანთკარში. უნდათ მშვიდი და ნორმალური ადგილი, სადაც ამ სახლს დადგამენ და ასეთ ადგილს თავად გამოძებნიან გორში.

როდესაც ვკითხე, რატომ იქ არა, მითხრეს, რომ იქ ფიზიკურად არ არის ადგილი, იქიდან ხალხი გამორბის. ლევან რაზმაძის საუბრიდან გამოდიოდა, რომ მშვიდი და ნორმალური ცხოვრება უნდა, გორში იპოვის ადგილს და იქ მივიტანოთ ეს სახლი. როდესაც ლევან რაზმაძე ამბობს, რომ არ მინდა პოლიტიკაში ჩართვა, გულისხმობს, რომ გუგუტიანთკარში თუ იცხოვრებს, ეს არის პოლიტიკაში ჩართვა. თან მესმის ამ ადამიანების, მათ არ აქვთ უსაფრთხოების განცდა, მაგრამ ეს არის თითოეული ჩვენგანის საქმე, – აღნიშნა დოლენჯაშვილმა.

ლევან რაზმაძე აცხადებს, რომ ადგილი, სადაც სახლის განთავსებას მერია სთავაზობს, საცხოვრებლად ცუდია.

– დამირეკეს და ვუთხარი, თუ ნახვა გნებავთ, შემხვდით, პრობლემა არ არის. მკითხეს ადგილი ხომ არ ნახეთ, სახლი რომ ჩაგიდგათო, ვუთხარი, ფიზიკურად ვერ ვნახე ადგილი. აუცილებლად გუგუტიანთკარში თუ უნდა ყოფილიყო, ეგეთი პირობა არ ყოფილა.

პირველ რიგში, დიდ მადლობას ვუხდი. ადამიანი რომ სახლს გჩუქნის, არანორმალური უნდა იყო, უარი თქვა, პირიქით, მადლობის მეტი რა გვეთქმის, მაგრამ ამ წუთში მართლა არ არის ისეთი ადგილი, რომ დავდგა და ვიცხოვრო. სხვის სახლში ვერ შევიჭრები.

თუ მჩუქნის, მადლობელი ვარ, თუ აუცილებელია არის, რომ მე ეს კოტეჯი ამ წუთში გადმომცენ და საჩქაროა, ადგილი მაქვს დავცლი, მოვნახავ იმ ადგილს, დღეს და ხვალ ფიზიკურად ვერ მოვახერხებ.

მერიამ მითხრა, ჩვენ გინახავთ ადგილს, მაგრამ მაჩვენეს ადგილი სოფელ გუგუტიანთკარში, ეს ადგილი არ მომწონს. მერია რასაც მთავაზობდა, უბრალოდ საცხოვრებლად ცუდი ადგილია, პოსტთან ახლოს არის. ცოტა ნორმალურ ადგილზე მინდა. მე არ ვამბობ, რომ სახლი არ მინდა, ვნახავ ადგილს ისეთს, რომ მივიდე და ვიცხოვრო, ფიზიკურად არ არის ისეთი ადგილი, არის მინდორში, სადაც არც გაზია, არც წყალი, – აღნიშნა ლევან რაზმაძემ.

ვახტანგ მაისაია: „რუსეთმა კარასინი-აბაშიძის ფორმატი ჩაშალა“

გულიკო ბალაძე

რით იყო გამოწვეული რუსეთისა და საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრის ორგანიზება? რა ფონი გასდევდა შეხვედრას? „ახალ თაობას“ ექსპერტი სამხედრო-პოლიტიკურ და უსაფრთხოების საკითხებში **ვახტანგ მაისაია** ესაუბრა.

– ბატონო ვახტანგ, როგორ აფასებთ გაეროს შტაბ-ბინაში საქართველოსა და რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრას?

– სამწუხარო ფაქტია, რომ საქართველოს ეკონომიკური განვითარების ტემპები რატომღაც კვლავ მიბმულია ჩრდილოელ მეზობელზე, რომელიც ჩვენი სამხედრო მტერია. საქართველოს სავაჭრო პარტნიორი ძირითადად ოთხი ქვეყანაა – თურქეთი, რუსეთი, აზერბაიჯანი და ჩინეთი. სხვა სავაჭრო პარტნიორებიც გვყავს, მაგრამ ძირითადად ეს ოთხი ქვეყანა გამოირჩევა.

– ოპონენტები ამბობენ, რომ ამ ხელისუფლებამ მიგვაბა რუსეთს ეკონომიკურად.

– სტრატეგიული ობიექტების გადაცემა და შემდგომში რუსეთთან ძირითადი ეკონომიკური მიბმა მოხდა სააკაშვილის პერიოდში, კახა ბენდუქიძის შოკური თერაპიის ეკონომიკური რეფორმებით. კახა ბენდუქიძე თვითონ პუტინთან იყო დაახლოებული და მის მიერ ამგვარი რეფორმების ჩატარებას მოჰყვა რუსული კომპანიების შემოსვლა საქართველოში. ეს ყველაფერი სააკაშვილის პერიოდში ხდებოდა.

– ენერგეტიკული ობიექტების გადაცემაც მაშინ მოხდა.

– არა მარტო ენერგეტიკული ობიექტები გადაეცათ რუსებს, არამედ ფოთის პორტისა და შავი ფულის საქართველოში გარეცხვის მომენტები.

– თუმცა ახლა ნაცები საგარეო საქმეთა მინისტრ ზალკალიანს ლავროვის მიერ ნახსენები ფრენების აღდგენის თხოვნის საკითხზე აკრიტიკებენ.

– პირველი ფრენები რუსეთთან მიხეილ სააკაშვილის პერიოდში განხორციელდა. ეს მემკვიდრეობით გადაეცა ბიძინა ივანიშვილის ხელისუფლებას. შესაბამისად, ამას შემდგომში ტურისტული ნაკადების შემოსვლა მოჰყვა. ივანიშვილის პერიოდში შეიქმნა აბაშიძე-კარასინის ფორმატი, რომელმაც მოახდინა რუსეთთან კულტურულ-ეკონომიკური ურთიერთობების ინტენსიფიკაცია.

რუსეთიდან ტურისტების შემოშვების შეჩერებამ საქართველოში ძლიერი ეკონომიკური შოკი გამოიწვია, რაც დაეტყო ლარის კურსს. ქვეყანამ დაკარგა მთავარი სავალუტო შემოსავლები მილიარდი დოლარის ოდენობით. ბუნებრივია, ასეთი პირობების ფონზე გაჩნდა შეხვედრის აუცილებლობა. ყველაფერთან ერთად, რუსეთმა კიდევ ერთი ახალი ხერხი გამოიყენა, რომელზეც ყურადღება არავინ გაამახვილა.

– რა ახალი ხერხი?

– რუსეთმა, ფაქტობრივად, ჩაშალა აბაშიძე-კარასინის ფორმატი, როდესაც კარასინი გადააყენა. კარასინი გაუშვეს პენსიაზე და, ფაქტობრივად, აბაშიძე-კარასინის ფორმატის მოქმედება შეჩერდა. ამით რუსეთთან პირდაპირი არხი, რომლითაც საქართველო რუსეთთან გარკვეულ მოლაპარაკებებს აწარმოებდა, დაიხურა.

– ამით აიძულეს ქართული მხარე, საგარეო საქმეთა მინისტრების დონეზე პირდაპირი შეხვედრა გაემართა?

– ბუნებრივია, არსებული ფაქტორები იყო მიზეზი, რომ პირდაპირი შეხვედრის ორგანიზება მოხდა. ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ. ეს ჩვეულებრივი მოვლენაა.

– საუბრობენ ლავროვის ცინიკურ დამოკიდებულებაზე, რაც მის განცხადებებში გამოიხატა, ასევე ზალკალიანის შეცდომაზე, ფრენების აღდგენა რატომ მოითხოვაო.

– ეს არის არასერიოზული დამოკიდებულება. რატომ მოითხოვა? ჩვენ რუსეთთან ეკონომიკური ურთიერთობა გვაქვს. არ ვამბობ, რომ ეს კარგია, მაგრამ, სამწუხაროდ, ასეა. ეს არის სამწუხარო რეალობა.

– თქვენ თქვით, აბაშიძე-კარასინის ფორმატი რუსეთმა ჩაშალაო. 20 ივნისის შემდეგ რუსეთმა ასევე ჟენევის მოლაპარაკებებიც და ერგნეთის შეხვედრებიც ჩაშალა, ანუ ურთიერთობები და პროცესი უკვე კრიზისში იყო შესული.

– ბუნებრივია. საინტერესო ისაა, ამ ორი საგარეო საქმეთა მინისტრის ფონზე ოქტომბრის პირველ რიცხვებში ჟენევის შეხვედრაც დაიგეგმა. ამ შეხვედრის ერთგვარი პრელუდია იყო ის, რომ რუსეთმა მოახდინა აბაშიძე-კარასინის ფორმატის შეფერხება. კარასინის თანამდებობიდან გადაყენებით ის ურთიერთობები გაწყდა, რომლითაც ჩვენი ხელისუფლება რუსულ მხარეს მესიჯს უგზავნიდა ხოლმე. ეს შეხვედრა იყო კარასინი-აბაშიძის ფორმატის ჩაშლის კომპენსაცია.

– ლავროვს უდიდესი სამხედრო მანქანა და ბირთვული არსენალი ედგა ზურგს უკან. იგრძნობოდა თუ არა, რომ ზალკალიანის ზურგს უკან არიან ჩვენი სტრატეგიული მოკავშირეები თუ ჩვენ მარტო ვართ ამ მოლაპარაკებაში?

– ის, რომ საქართველოს სტრატეგიული მოკავშირე ამერიკის შეერთებული შტატებია, 2009 წლის ქარტიიდან გამომდინარეობს და ბევრი სხვა ფაქტორით გამოიხატება ამერიკის, ევროკავშირისა და ჩინეთის მიერ, თუნდაც ჩვენი ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერით. ისინი ჩვენ ყველანაირად გვეხმარებიან.

– ჩვენ ზურგს უკან იგრძნობა თუ არა მათი მხარდაჭერის ძალა, რაც რუსეთს რაღაცაში აბრკოლებს?

– რა თქმა უნდა, დასავლეთის, ჩინეთის მხარდაჭერა იგრძნობა.

მარიკა წერეთელი: „მე დღეს მომკლეს ჩემს ქმართან ერთად“

ყიფშიძეზე გარჩევაში დაჭრილები ლევან ძნელაძე და გივიკო ცინცაძე არიან

ყიფშიძის ქუჩის სისხლიანი გარჩევის ერთ-ერთი მონაწილის ვინაობა და დაპირისპირების სავარაუდო მიზეზი რუსთავი 2-თვის ცნობილი გახდა.

როგორც ირკვევა, ერთ-ერთი პირი, რომელიც მძიმედ არის დაშავებული და ამჟამად საავადმყოფოს რეანიმაციულ განყოფილებაში რჩება, ლევან ძნელაძეა, ხოლო ქალი, რომელიც საქმეში ფიგურირებს და კურიერის მიერ გავრცელებულ ექსკლუზიურ კადრებშიც ჩანდა – მარიკა წერეთელი.

ლევან ძნელაძის ოჯახის ახლობლის ინფორმაციით, ოჯახი ფლობდა მიწას, რომელზეც საცხოვრებელი სახლის აშენებას აპირებდა და მშენებელი კომპანია შეიყვანა. თუმცა ძნელაძის ოჯახმა სამშენებლო კომპანიისგან ვერც დაპირებული ბინა და ვერც მიწის საფასური მიიღო. როგორც ოჯახის ახლობლები საუბრობენ, სწორედ ეს გახდა სისხლიანი დაპირისპირების მიზეზი.

რაც შეეხება მეორე მხარეს, შემთხვევის ადგილთან ახლოს მდებარე კაფეს მენეჯერი კურიერთან საუბარში აცხადებს, რომ ერთ-ერთი პირი, რომელიც გარჩევაში მონაწილეობდა და ამჟამად შედარებით მსუბუქი დაზიანებებით საავადმყოფოში იმყოფება, გივიკო ცინცაძეა. მენეჯერის თქმით, ცინცაძე აღნიშნულ ადგილს ხშირად მეგობრებთან ერთად სტუმრობდა. ამ ადამიანის შესახებ სახელისა და გვარის მიღმა კონკრეტული ინფორმაცია არ არსებობს.

ლევან ძნელაძე წლების წინ თავადაც იყო სამშენებლო ბიზნესში და გზების მშენებლობასთან დაკავშირებით ტენდერებში მონაწილეობდა.

ორივე დაშავებული ამჟამად საავადმყოფოში იმყოფება.

– პაციენტს ნევროლოგიური თვალსაზრისით აქვს ქალა ტვინის დახურული ტრავმა, თავის ტვინის შერყევა. რადიოლოგიური კვლევით ანუ კომპიუტერული ტომოგრაფიით რამე მწვავე კეროვანი პათოლოგია არ ვლინდება. რაც შეეხება დინამიკაში ასევე ნევროლოგიური სტატუსის მხრივ, მას აღენიშნება დადებითი დინამიკა, – განაცხადა ექიმმა.

ყიფშიძის ქუჩაზე დაჭრილი ერთ-ერთი მამაკაცის მეუღლემ, მარიკა წერეთელმა, ნიუპოსტს უთხრა, რომ ვაკეში მომხდარი სისხლიანი დაპირისპირება ბიზნესსაქმიანობას უკავშირდება.

წერეთელი აღნიშნავს, რომ მას ყიფშიძეზე შეხვედრა ჰქონდა დანიშნული, თუმცა კრიმინალები დაახვედრეს.

– მე სულ სხვა ადამიანებთან მქონდა შეხვედრა დანიშნული და სულ სხვა ადამიანები მოვიდნენ. მაქვს ეჭვი, იმათი გამოგზავნილები არიან... ვითომ კაცები და მაგარი ბიჭები, როგორც ჩანს, ასე წყვეტენ საქართველოში ბიზნესის საქმეებს.

პირდაპირ მივმართავ კრიმინალებს, ეს ამბავი უნდა დამთავრდეს ერთხელ და სამუდამოდ საქართველოში. მე დღეს მომკლეს ჩემს ქმართან ერთად. ბოლომდე ვიბრძოლებ, რათა ეს ყველაფერი დამთავრდეს საქართველოში. მგონი, კადრები ყველამ ნახეთ. არ ვიცნობ არავის, ვინც იყვნენ იქ. ერთადერთი ჩემი ფიქრი და გონება ის არის, გავიგო ჩემი მეუღლის მდგომარეობა და ველოდები.

მე, როგორც ქალი, მოქალაქე, დედა, ვპირდები, პირდაპირ მივმართავ, მიყურებენ ალბათ ის კრიმინალები, არ ვაპატიებ. ამით წერტილი უნდა დაესვას საქართველოში ასეთ სიტუაციას, როცა დღისით, მზისით ადამიანს ქუჩაში ვერ გაუვლია, – განაცხადა დაჭრილი მამაკაცის მეუღლემ.

მარიკა წერეთელმა პოლიციას მის ხელთ არსებული ინფორმაცია მიაწოდა.

– დაკითხვაზე ვისაუბრე, პროცესი როგორ იყო. გამოძიებას მივაწოდე ინფორმაცია. ნაწილი მახსოვს, ნაწილი – არა. ინციდენტის მომენტში არავინ დაუკავებიათ. ეჭვი, რა თქმა უნდა ვიღაცებზე მაქვს და ვვარაუდობ, ვის შეიძლება, გამოეგზავნა ეს ადამიანები. ეს ჩემი პირადი ბიზნესის თემაა. ვითომ კაცები და მაგარი ბიჭები, როგორც ჩანს, ასე წყვეტენ საქართველოში ბიზნესის საქმეებს, – განაცხადა მარიკა წერეთელმა.

გამოძიება ორი მუხლით მიმდინარეობს – იარაღის უკანონოდ შეძენა-შენახვა-ტარება და განზრახ მკვლელობის მცდელობა.

იტალიის პოლიციამ 2 ქართველი დააკავა

იტალიის პოლიციამ ბინების ქურდობაში ეჭვმიტანილი 2 ქართველი დააკავა. გამოძიების ინფორმაციით, მძარცველებმა დანაშაული ივლისში ჩაიდინეს.

მათ ქალაქ ტრიესტში სახლებიდან 133 ათასი ევროს ღირებულების ძვირფასეულობა წაიღეს. დაკავებულები 25 წლამდე ახალგაზრდები არიან.

პოლიციამ ერთ-ერთი დაკავებულის საცხოვრებელ სახლში ჩხრეკა ჩაატარა, საიდანაც სამხილები ამოიღეს. სამართალდამცველებმა მეორე ეჭვმიტანილი რომის აეროპორტში აიყვანეს. მძარცველთა ჯგუფის მესამე წევრი კი ძებნაშია.

„ცოლად გამომყევი, თორემ თავს მოვიკლავ“

ვინ გაისროლა მსახიობ ეკა ჩხეიძის სახლთან

მსახიობ ეკა ჩხეიძის მიმართ ქორწინების იძულების ბრალდებით სამართალდამცავებმა 56 წლის მამაკაცი დააკავეს. მის მიმართ აღკვეთის ღონისძიების შეფარდებაზე თბილისის საქალაქო სასამართლოში გუშინ, 1 ოქტომბერს, იმსჯელეს.

როგორც სასამართლო სხდომაზე ბრალდების მხარემ საკუთარ შუამდგომლობაში განაცხადა, დაკავებული 2 წელია, რაც მსახიობ ეკა ჩხეიძეს იცნობს და მას პერიოდულად სტუმრობდა სახლთან, სამსახურთან და სთხოვდა ქორწინებას, წინააღმდეგ შემთხვევაში კი ემუქრებოდა, რომ თავს მოიკლავდა.

პროკურორ ანა მეტრეველის განცხადებით, ბრალდებულმა 28 სექტემბერს, დღის საათებში, ეკა ჩხეიძის საცხოვრებელი სახლის სადარბაზოში პნევმატური იარაღიდან გასროლა მოახდინა, რის შემდეგაც ჩხეიძემ 112-ში დარეკა, ვინაიდან ბრალდებული მას თვითმკვლელობით ემუქრებოდა.

ბრალდებულმა სასამართლო სხდომაზე განაცხადა, რომ თავს დამნაშავედ ცნობდა, დანარჩენზე კი არ ისაუბრებდა. სახელმწიფო ბრალდება დაკავებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით 10.000-ლარიანი გირაოს გამოყენებას, დაცვა კი 2.000 ლარის შეფარდებას ითხოვდა.

სასამართლოს გადაწყვეტილებით, ბრალდებულს აღკვეთის ღონისძიების სახით 3.000-ლარიანი გირაო შეეფარდა პატიმრობის უზრუნველყოფით.

❖ ❖ ❖

– სროლა უკვე კულმინაცია იყო, – ასე გამოეხმაურა მსახიობი ეკა ჩხეიძე 56 წლის მამაკაცის დაკავებას.

როგორც ინტერპრესნიუსს ჩხეიძემ განუცხადა, მან ბრალდებული მამაკაცი არაერთხელ გააფრთხილა, რომ თავი დაენებებინა. მსახიობის განმარტებითვე, ის აღნიშნულ თემაზე კომენტარს არ აკეთებს, ვინაიდან ბრალდებულის ოჯახის წევრები ეცოდება.

– ათასჯერ გავაფრთხილე, იცოდე, გიჩივლებ, გაჩერდი, დაწყნარდი, ნუ მოდიხარ, ნუ მელოდები სადარბაზოსთან-მეთქი და ბოლოს მაიძულა, ასე მოვქცეულიყავი. სროლა უკვე კულმინაცია იყო, – განაცხადა ეკა ჩხეიძემ.

წინასასამართლო სხდომა 31 ოქტომბერს, 11 საათზე დაინიშნა.

თბილისში, ბაქოს ქუჩაზე, ახალგაზრდა ქალი გააუთოვეს

„იარაღიც ჰქონდა, მაგრამ არ გამოუყენებია“

30 სექტემბერს ბაქოს ქუჩაზე ახალგაზრდა ქალი ცხელი უთოთი აწამეს, ვიდრე არ გაიგეს, სად ინახავდა ის ოქროსა და ფულს.

სასტიკ თავდასხმას წინ მუქარა უძღოდა – 35 წლის ნანი ფუტკარაიამ თავდასხმამდე რამდენიმე საათით ადრე შეტყობინება მიიღო, რომ მის შვილს მოკლავდნენ.

ნანი ფუტკარაია „მთავართან“ ამბობს, რომ თავდამსხმელს ფეხზე ბახილები ეცვა, სახეზე კი ნიღაბი ეკეთა.

მისი თქმით, ბოროტმოქმედმა ის უთოთი დაწვა და შემდეგ პურის საჭრელი დანით დაჭრა.

ახალგაზრდა ქალი აღნიშნავს, რომ თავდამსხმელი 38.000 ლარს ითხოვდა. საბოლოო ჯამში კი 3.500 დოლარისა და 3.000 ლარის წაღება მოახერხა.

ნანი ფუტკარაია ამბობს, რომ ის სასტიკად ნაცემი და ნაწამებია.

– ჰქონდა იარაღი, რომელიც ედო ქამარში, თუმცა იარაღი არ გამოუყენებია. დამანახა, რომ ჰქონდა. უთო მე თვითონ მქონდა ჩართული, რაც გადამატარეს ზურგზე. ითხოვდნენ თანხას, რომელიც სახლში ეგულებოდათ. თუმცა არ მქონდა იმდენი, რამდენსაც ელოდნენ, რამაც აგრესია გამოიწვია.

38.000 ლარს ითხოვდა. სახლში 3.500 დოლარი და 3.000 ლარი იყო. ეს თანხა და ოქროულობა წაიღეს, – თქვა დაზარალებულმა.

ფუტკარაია ამბობს, რომ არ იცის, ვინ შეიძლება იდგეს თავდასხმის უკან.

თელავში ნონა ლაზარიაშვილის მკვლელობაში ბრალდებული რევაზ კეკელიძე გარდაიცვალა

თელავში ყოფილი მეუღლის მკვლელობაში ბრალდებული რევაზ კეკელიძე საავადმყოფოში გარდაიცვალა.

ის თელავის რაიონულ საავადმყოფოში რეანიმაციულ განყოფილებაში, მართვით სუნთქვაზე იმყოფებოდა.

თელავში ჭონქაძის ქუჩაზე 48 წლის ნონა ლაზარიაშვილი ყოფილმა ქმარმა 1 კვირის წინ სანადირო თოფიდან გასროლით მოკლა. ამის შემდეგ მამაკაცმა ცეცხლსასროლი იარაღიდან თვითდაზიანება მიიყენა.

საქმე სსკ-ის მე-11 პრიმა, 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტით აღიძრა.

პოლიციამ დანაშაულის იარაღი, სანადირო თოფი, უკვე ამოიღო.

წყალტუბოში 18 წლის ბიჭი გარდაცვლილი იპოვეს

დედამ ეს რომ გაიგო, კორპუსიდან გადახტა

წყალტუბოში 18 წლის ბიჭი მეზობლებმა კორპუსთან გარდაცვლილი იპოვეს. ის ვარდნის შედეგად იყო დაღუპული.

გარდაცვლილის ტელეფონში, ერთი ფოტოს გარდა, ყველაფერი წაშლილი იყო, ჩანთაში კი აბები აღმოაჩინეს.

– ზემოთ სახურავზე კურტკა და ტელეფონი ყოფილა, აბსოლუტურად ყველაფერი წაშლილი იყო, ერთი ფოტოს გარდა, – აცხადებენ ახლობლები.

მათი თქმით, ბიჭი ბოლო დროს გულჩათხრობილი გახდა.

30 სექტემბერს ბიჭის დედა უცხოეთიდან დაბრუნდა, ბიჭის სიკვდილი შეიტყო, ქუთაისში მრავალსართულიანი კორპუსიდან გადახტა და დაიღუპა.

პირველი საჯარო სკოლის დირექტორი, სადაც ახალგაზრდა სწავლობდა, ამბობს, რომ გარდაცვალების შემდეგ ოჯახმა სახლში ფურცელი იპოვა, სადაც საეჭვო ჩანაწერები იყო.

ფაქიზო ფანჩულიძე ყვება, რომ ბიჭი სკოლაში წარჩინებული მოსწავლე იყო, თუმცა ბოლო წელს იშვიათად დადიოდა.

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა. თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52

ყოფილი ცოლისა და სიდედრის მკვლელობის მცდელობისთვის გ.ს.-ს 16 წელი მიესაჯა

თბილისის საქალაქო სასამართლომ გაიზიარა პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი განზრახ მკვლელობის მცდელობაში ბრალდებული გ.ს. დამნაშავედ ცნო და 16 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.

სასამართლო პროცესზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ გ.ს.-ს ყოფილ მეუღლესთან მ.ც.-სთან და ყოფილი მეუღლის დედასთან ვ.ე.-სთან ბავშვების ნახვასა და წაყვანასთან დაკავშირებით უთანხმოება ჰქონდა.

„2018 წლის 22 დეკემბერს გ.ს.-მ შვილები თავის საცხოვრებელ ბინაში წაიყვანა, საღამოს საათებში კი მ.ც.-სთან და ვ.ე.-სთან საცხოვრებელ ბინაში მივიდა, დარწმუნდა, რომ ყოფილ მეუღლეს და დედამისს ეძინათ, რის შემდეგაც საცხოვრებელი კორპუსის შესასვლელ კართან არსებული ბუნებრივი აირის ცენტრალური მილი გადაჭრა, მასზე რეზინის მილი დააერთა, რომლის მეორე ბოლოც მ.ც.-ს და ვ.ე.-ს საცხოვრებელი ბინის შესასვლელ კარში მიამაგრა. რამდენიმე ხანში ვ.ე.-ს გაეღვიძა, მან გაზის სუნი იგრძნო, რის შემდეგაც დაზარალებულებმა საპატრულო პოლიცია გამოიძახეს. სამართალდამცველებმა გ.ს. 2018 წლის 23 დეკემბერს დააკავეს.

ბრალდებულს ბრალი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 111-19-109-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მეორე ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტით და ამავე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით ჰქონდა წარდგენილი, რაც გულისხმობს, განზრახ მკვლელობის მცდელობა ოჯახის წევრისა და ორი პირის მიმართ, ისეთი საშუალებით, რომელიც განზრახ უქმნის საფრთხეს სხვათა სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას.

ამერიკელების 45% ტრამპის იმპიჩმენტის მომხრეა, 41% — წინააღმდეგი

რეიტერი-იპსოსის გამოკითხვის შედეგების თანახმად, ამერიკელების 45 პროცენტი აშშ-ის პრეზიდენტ დონალდ ტრამპის იმპიჩმენტს უჭერს მხარს, რაც გასული კვირის მაჩვენებელზე 8 პროცენტით მეტია.

ამავე კვლევამ აჩვენა, რომ 41 პროცენტი ტრამპის იმპიჩმენტს არ ეთანხმება, გამოკითხულთა 15 პროცენტს კი კითხვაზე პასუხი არ აქვს.

კითხვაზე, რას ფიქრობდნენ იმ ინფორმაციის შესახებ, რის საფუძველზეც „დემოკრატებმა“ იმპიჩმენტის პროცედურისთვის საჭირო მოკვლევა დაიწყეს, გამოკითხულთა 43 პროცენტი აცხადებს, რომ დონალდ ტრამპი წინასაარჩევნოდ ჯო ბაიდენის რეპუტაციის შელახვას ცდილობს, რაც წინა კვირის მაჩვენებელთან შედარებით 4 პროცენტით მეტია.

რეიტერ-იპსოსმა ონლაინკვლევა მთელი ქვეყნის მასშტაბით 21-30 სექტემბერს ჩაატარა. კვლევის ფარგლებში გამოიკითხა 2.234 ადამიანი, რომელთაგან 944 დემოკრატი და 855 რესპუბლიკელი იყო.

25 სექტემბერს წარმომადგენელთა პალატის სპიკერმა ნენსი პელოსიმ განაცხადა, რომ დემოკრატებმა პრეზიდენტ დონალდ ტრამპის იმპიჩმენტისთვის საჭირო ფორმალური პროცედურა დაიწყეს. პროცედურის დაწყებას წინ უძღოდა კონგრესის დემოკრატი წევრების ვარაუდი იმის შესახებ, რომ 25 ივლისს გამართული სატელეფონო საუბრის დროს დონალდ ტრამპი ვლადიმერ ზელენსკის პოლიტიკური ოპონენტის – ჯო ბაიდენისა და მისი ვაჟის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებას აიძულებდა, წინააღმდეგ შემთხვევაში კი უკრაინას სამხედრო დახმარების შეწყვეტით ემუქრებოდა.

ავღანეთში თალიბებმა 11 პოლიციელი მოკლეს

დაჯგუფება თალიბანის წარმომადგენლები ავღანეთში, ბალხის პროვინციაში, პოლიციის შტაბ-ბინას თავს დაესხნენ და 11 პოლიციელი მოკლეს.

მოგვიანებით ავღანეთის ნაციონალურმა და თავდაცვის ძალებმა პოლიციის შტაბ-ბინაზე კონტროლის დაბრუნება შეძლეს.

ამასთან, თალიბების წარმომადგენელმა ზაბიჰულ მუჯაჰიდმა განაცხადა, რომ დაჯგუფების წევრებმა 30 პოლიციელის განადგურება შეძლეს.

აშშ-სა და თალიბებს შორის დაწყებული მოლაპარაკებების ჩაშლის შემდეგ ავღანეთში დაპირისპირების შემთხვევებმა მნიშვნელოვნად იმატა.

ზელენსკი ტრამპთან საუბრების გამოქვეყნებას არ აპირებს

უკრაინის პრეზიდენტი ვლადიმერ ზელენსკი ჟურნალისტებს შეხვდა. შეკითხვაზე, გამოაქვეყნებს თუ არა ტრამპთან სატელეფონო საუბრების საკუთარ ვერსიას, ზელენსკიმ მხრები აიჩეჩა.

– არა მგონია, გამოვაქვეყნო! – თქვა მან.

უკრაინის პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა, რომ აშშ მისი ქვეყნის უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული პარტნიორია. მისი საუბრებიც ტრამპთან კონფიდენციალურ ხასიათს ატარებს.

– აქედან გამომდინარე, მათი გამოქვეყნება არაკორექტულად მიმაჩნია, – ამბობს ზელენსკი.

პერუში პარლამენტმა პრეზიდენტი გადააყენა

პერუს პრეზიდენტმა ვისკარამ პარლამენტი დაშალა. მიზეზი პარლამენტის მიერ საკონსტიტუციო სასამართლოს ახალი წევრის არჩევა იყო. პრეზიდენტისათვის ეს ფიგურა მიუღებელია.

– პარლამენტს დაშლილად ვაცხადებ, – გამოაცხადა ვისკარამ.

ამის შემდეგ დეპუტატებმა ის ქმედებაუუნაროდ გამოაცხადეს. ქვეყნის კონგრესის თავმჯდომარე პედრო ოლეაჩეამ განაცხადა, რომ ვისკარა ძალაუფლებას ჩამოშორებულია.

– პარლამენტის სხდომაზე მივიღეთ რეზოლუცია, რომლითაც პერუს პრეზიდენტი ქმედებაუუნაროდ გამოცხადდა, ვინაიდან მან საკონსტიტუციო წყობა დაარღვია, – დაიწერა კონგრესის სოციალურ ქსელ „ტვიტერის“ ოფიციალურ გვერდზე.

პარლამენტის თანხმობით, პერუს პრეზიდენტის მოვალეობას დროებით ვიცეპრეზიდენტი მერსედეს არაოსი შეასრულებს.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

სინდი კროუფორდის ქალიშვილს პოდიუმზე მკერდი გამოუჩნდა

სინდი კროუფორდის ქალიშვილს, ამერიკელ სუპერმოდელ კაია გერბერს პარიზის მოდის კვირეულის ფარგლებში გამართული ჩვენების დროს პოდიუმზე შემთხვევით მკერდი გაუშიშვლდა.

ინციდენტი იტალიური მოდის სახლ ვალენტინოს 2020 წლის გაზაფხული-ზაფხულის პრეტ-ა-პორტეს კოლექციის ჩვენების დროს მოხდა. მოდელი ჰალსტუხით დამშვენებული გამჭვირვალე შავი ქსოვილისგან შეკერილი ბლუზის დემონსტრირებას ახდენდა, რომელიც შიშველ სხეულზე ეცვა. მას ასევე ეცვა შავი პიჯაკი, ქვედაბოლო და ფეხსაცმელები.

ჩვენების დროს, როდესაც კაია გერბერი პოდიუმზე გამოდიოდა, პიჯაკის კიდეები ფართოდ გაიშალა და მოდელს მკერდი გაუშიშვლა.

ქურდობაში ეჭვმიტანილი გოგონა დემონსტრაციულად გაშიშვლდა

მექსიკის დედაქალაქ მეხიკოს მცხოვრები გოგონა დაცვის თანამშრომლების თვალწინ გაშიშვლდა, რათა მათთვის დაემტკიცებინა, რომ არაფერი ჰქონდა მოპარული.

ინციდენტის ამსახველი ვიდეორგოლი სუპერმარკეტების ქსელის ერთ-ერთ მაღაზიაშია გადაღებული. კადრებში ჩანს, თუ როგორ ესაუბრება შავ ბლუზსა და თეთრ მინიკაბაში გამოწყობილი გოგონა დაცვის სამსახურის თანამშრომელს. გვერდით კიდევ ერთი მამაკაცი დგას.

ერთ მომენტში გოგონა მხრებს იჩეჩს და კაბას იხდის. ამის შემდეგ, როგორც ჩანს, მცველი მას სთხოვს აჩვენოს, რამეს ხომ არ მალავს შავი ბლუზის ქვეშ. გოგონა მასაც იხდის, შემდეგ კი სუპერმარკეტს ტოვებს.

უცნობია, დააკავეს თუ არა გოგონა ან დაცვის თანამშრომელი საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისთვის.

ძმამ პაკისტანელი კარდაშიანი მოკლა და სამუდამოდ ციხეში ამოყო თავი

სოციალური ქსელების პაკისტანელი ვარსკვლავის კანდილ ბალოჩის ძმას სამუდამო პატიმრობა მიესაჯა გოგონას დაღუპვიდან სამი წლის შემდეგ. კანდილი პაკისტანელი კიმ კარდაშიანის სახელით იყო ცნობილი.

სასამართლომ სამუდამო პატიმრობა მიუსაჯა მუჰამად ვასიმს, რომელმაც 2016 წელს 26 წლის ბალოჩი გაგუდა. მამაკაცის ადვოკატმა სარდარ მეხბუბმა განაჩენის გამოცხადების შემდეგ განაცხადა, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებას გაასაჩივრებს.

კიდევ ექვსი ადამიანი, მათ შორის ბალოჩის კიდევ ორი ძმა, სასამართლომ გაამართლა.

ვასიმმა დის მკვლელობა პოლიციის მიერ ორგანიზებულ პრესკონფერენციაზე აღიარა. მისი თქმით, მკვლელობა იმის გამო ჩაიდინა, რომ თითქოსდა ბალოჩმა სოციალურ ქსელებში თავისი ქმედებებით „თავი შეირცხვინა“.

ციყვმა ქალს დაშავებული ნაშიერის გადასარჩენად მიმართა

ამერიკის ვირჯინიის შტატში ციყვმა ქალი თავის დაშავებულ ნაშიერთან მიიყვანა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემა ავრცელებს.

თეა პაუელმა ქალაქ პულასკის პოლიციაში დარეკა და მომხდარის შესახებ აცნობა. მისი თქმით, კივანსის პარკის მახლობლად მასთან ციყვმა მიირბინა და ფეხზე მოქაჩა. ქალი ცხოველს გაჰყვა და გადააწყდა პატარა ციყვს, რომელსაც თათი ჰქონდა დაზიანებული.

პაუელმა შენიშნა, რომ იქვე შორიახლოს კატა იმალებოდა და ის, შესაძლოა, ნებისმიერ მომენტში თავს დასხმოდა პატარა ცხოველს. მან დაურეკა მეგობარს და პოლიციის განყოფილებას. შემთხვევის ადგილზე მისულმა სამართალდამცავებმა ცხოველს დაშავებული თათი დაუმუშავეს და შემდეგ ცხოველებს ხეზე ასვლაში დაეხმარნენ.

– მადლობა უნდა გადავუხადოთ თეასა და მის მეგობარ ჟასმინს! თეას ციყვისთვის ყურადღება რომ არ მიექცია, ყველაფერი, შესაძლოა, სულ სხვაგვარად დასრულებულიყო, – განაცხადა პულასკის პოლიციის წარმომადგენელმა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

განცხადებები

იყიდება

● იყიდება მსხმოიარე ვენახი 0,5 ჰექტარი, ვენახში არის ჩინურის, თავკვერის და ალადასტურის ჯიშის ყურძენი. თბილისიდან 35 წუთის სავალზე, მცხეთის რაიონის სოფელ ვაზიანში. ნაკვეთთან ახლოს გადის გზა, წყალი, გაზი და სინათლე. გამოდგება მარნის მოსაწყობად. 1 კვ.მ ფასი 12 ლარი. ტელ: 593 127337; 593 515603.

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● დიაბეტური დაავადებების, ხერხემლის გამრუდების, ბავშვებში ბრტყელტერფიანობის, ყურებში შუილის, სმენის დაქვეითების მკურნალობა. მოგემსახურებათ გაეროს სერტიფიკატის მფლობელი ექიმი თამარ შავერდოვა. ტელ: 579-281-766.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამადანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკო-ბიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

გელა აფრასიძე: „ფიჯი უნდა დავამარცხოთ“

საქართველოს მორაგბეთა ნაკრების ახალგაზრდა 9 ნომერი გელა აფრასიძე ურუგვაისთან 33:7 მოგებულ შეხვედრაში სასტარტო შემადგენლობაში იყო და გამარჯვებაში საკუთარი წვლილი შეიტანა. აფრასიძე ფიჯისთან 2019 წლის მსოფლიო თასზე მე-3 შეხვედრას ჩაატარებს, თუმცა, ამჯერად მარქაფიდან ჩაერთვება.

ჯგუფურ ეტაპზე, სანამ საქართველო ურუგვაის დაამარცხებდა, სამხრეთამერიკელები წლევანდელ მსოფლიო თასზე პირველი სენსაციის შემოქმედნი გახდნენ და ფიჯის 30:27 სძლიეს. აფრასიძის აზრით, ეს კუნძულელთა ცუდი თამაშის შედეგი იყო, ბორჯღალსნებმა კი ურუგვაის დამსახურებულად მოუგეს:

გელა აფრასიძე:

– ყველა ერთი მიზნისკენ ვიყავით მიმართული – კარგად უნდა გვთამაშა და მოგვეგო. ცხადია, დამფიქრებელი იყო, ურუგვაიმ ფიჯის რომ მოუგო, თუმცა, ვფიქრობ, ფიჯელებმა ცუდად ითამაშეს და ამისთვის დაისაჯნენ. ურუგვაიმ მეტოქეს არეული თამაში შესთავაზა და ამით აჯობა. თან ფიჯელებმა ძალიან ბევრი შეცდომა დაუშვეს: ბურთი უვარდებოდათ, სალელოვე შეტევები ვერ გამოიყენეს, გარდასახვები და საჯარიმო ააცილეს.

3 ოქტომბერს საქართველოს ნაკრები ფიჯისთან უმნიშვნელოვანეს შეხვედრას გამართავს და მისი დამარცხებით, 2023 წლის მსოფლიო თასის საგზურის დაბევებას ეცდება:

– ურუგვაისთან მატჩის შემდეგ ყველა ძალების აღდგენაზე ვართ კონცენტრირებულები. ამ მატჩშიც იგივე მიზანი გვაქვს – ფიჯი უნდა დავამარცხოთ. ვეცდებით, მწვრთნელების დავალება მაქსიმალურად შევასრულოთ.

ეს იმის წინაპირობა იქნება, რომ ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი მატჩი მოვიგოთ. სათამაშოდ ძალზე მოტივირებულნი გავალთ. უნდა ვეცადოთ, მეტოქემ თავისი თამაში არ მოგვახვიოს. მათ კარგი დაცვა და ეფექტური შეტევა უნდა დავუპირისპიროთ. არა მგონია, ფიჯელებმა ფიზიკურად გვაჯობონ.

ვლადიმირ ვაისმა მომავალი მატჩებისთვის შემადგენლობა დაასახელა

საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ნაკრები, ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის მეექვსე შეხვედრას თბილისში გამართავს. ვლადიმირ ვაისის გუნდი 12 ოქტომბერს, დინამო არენაზე, ირლანდიას დაუპირისპირდება. 15 ოქტომბერს ჩვენი გუნდის მეტოქე, სტუმრად გიბრალტარი იქნება.

საქართველოს ნაკრები მატჩებისთვის საწვრთნელ შეკრებას 7 ოქტომბერს იწყებს. ეროვნული გუნდი სასტუმრო ჰუალინგში განთავსდება და საწვრთნელი პროცესის ძირითადი ეტაპი, ს.კ. ზესტაფონის თბილისის ზღვის ბაზაზე შედგება. უახლოესი 2 შეხვედრისთვის ვლადიმირ ვაისმა 24 ფეხბურთელი გამოიძახა:

მეკარეები: გიორგი ლორია (ანორთოსისი, კვიპროსი), გიორგი მაკარიძე (სეტუბალი, პორტუგალია), ლაზარე კუპატაძე (საბურთალო);

მცველები: ოთარ კაკაბაძე (ლუცერნი, შვეიცარია), გურამ კაშია (სან ხოსე, აშშ), სოლომონ კვერკველია (ლოკომოტივი, რუსეთი), დავით ხოჭოლავა (შახტარი, უკრაინა), გია გრიგალავა (არსენალი, რუსეთი), ლაშა დვალი (ფერენცვაროში, უნგრეთი), ჯიმი ტაბიძე (უფა, რუსეთი);

ნახევარმცველები: ჯაბა კანკავა (ტობოლი, ყაზახეთი), ოთარ კიტეიშვილი (შტურმი, ავსტრია), ვაკო გვილია (ლეგია, პოლონეთი), საბა ლობჟანიძე (რანდერსი, დანია), ვახტანგ ჭანტურიშვილი (ზლინი, ჩეხეთი), გიორგი აბურჯანია (ტვენტე, ჰოლანდია), ჯანო ანანიძე (სპარტაკი, რუსეთი), თორნიკე ოქრიაშვილი, მურთაზ დაუშვილი (ორივე ანორთოსისი, კვიპროსი), ლევან შენგელია (ქონიასპორი, თურქეთი), გიორგი ხარაიშვილი (გეტებორგი, შვედეთი), ვაკო ყაზაიშვილი (სან ხოსე, აშშ);

თავდამსხმელები: გიორგი ქვილითაია (გენტი, ბელგია), ელგუჯა ლობჟანიძე (თარაზი, ყაზახეთი).

ცნობილია კიდევ 8 ფეხბურთელის ვინაობა, რომლებსაც ვლადიმირ ვაისი ეროვნული ნაკრების გაფართოებულ შემადგენლობაში განიხილავს:

ლევან გეგეჭკორი, გიორგი ნავალოვსკი, ჯაბა ჯიღაური (ყველა დინამო ბთ), ლაშა პარუნაშვილი (ესბიერგი, დანია), ლუკა ზარანდია (ვარეგემი, ბელგია), გიორგი მერებაშვილი (პლოკი, პოლონეთი), ბუდუ ზიეზივაძე (მეზოკოვეშდი, უნგრეთი), ლევან კუტალია (დინამო თბ).

19 წლამდე ნაკრები უნგრეთში მიდის

9-15 ოქტომბერს საქართველოს 19-წლამდე ნაკრები ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში ითამაშებს. რამაზ სვანაძის გუნდი 6 ოქტომბერს გაემგზავრება უნგრეთში, სადაც მასპინძელთა გარდა ხორვატიასთან და ყაზახეთთან გაარკვევს ელიტ-რაუნდში გამსვლელის ვინაობას. შეგახსენებთ, რომ ჯგუფიდან 2 გუნდი მოიპოვებს მომდევნო ეტაპის საგზურს.

მთავარმა მწვრთნელმა უკვე შეარჩია ის ფეხბურთელები, რომლებიც ევროშესარჩევი მატჩებისთვის მოემზადებიან:

მეკარეები: ლუკა კუტალაძე (დინამო თბ), რევაზ ლომიძე (ლოკომოტივი);

მცველები: თორნიკე ჯანგიძე, ლაშა აწყურელი, ირაკლი აზაროვი, სანდრო კალანდაძე (ყველა დინამო თბ), ზურაბ ჭავჭანიძე (ლოკომოტივი), ცოტნე კაპანაძე (რუსთავი), ივა გელაშვილი (სპარტა, ჩეხეთი), შოთა ნონიკაშვილი (საბურთალო);

ნახევარმცველები: გიორგი მოისწრაფიშვილი, ნოდარ ლომინაძე, ანზორ მექვაბიშვილი (ყველა დინამო თბ), ანატოლი მესიაჩენკო (სამტრედია), ნიკა გაგნიძე (დილა), ზურიკო დავითაშვილი, ხვიჩა კვარაცხელია (ორივე რუბინი, რუსეთი);

თავდამსხმელები: გიორგი იაკობიძე (ლოკომოტივი), გიორგი გაგუა (ალავესი, ესპანეთი), გიორგი გულიაშვილი (საბურთალო).

ფედერაციები

30 სექტემბერი

ფეხბურთი

ინგლისი. ჰიმიეჩიდა

მანჩესტერი-არსენალი 1:1

საატუნინო ცხრილი:

1.ლივერპული	7	7	0	0	18-5	21
2.სიტი	7	5	1	1	27-7	16
3.ლესტერი	7	4	2	1	13-5	14
4.არსენალი	7	3	3	1	12-11	12
5.ვესტ ჰემი	7	3	3	1	10-9	12
6.ტოტენჰემი	7	3	2	2	14-9	11
7.ჩელსი	7	3	2	2	14-13	11
8.ბორნმუთი	7	3	2	2	13-12	11
9.კრ.პალასი	7	3	2	2	6-7	11
10.მანჩესტერი	7	2	2	2	9-7	9
11.ბარნლი	7	2	3	2	10-9	9
12.შეფილდი	7	2	2	3	7-7	8
13.ვულვზი	7	1	4	2	9-11	7
14.საუთჰემპტონი	7	2	1	4	7-11	7
15.ევერტონი	7	2	1	4	6-12	7
16.ბრაიტონი	7	1	3	3	5-10	6
17.ნორვიჩი	7	2	0	5	9-16	6
18.ასტონ ვილა	7	1	2	4	8-11	5
19.ნიუკასლი	7	1	2	4	4-13	5
20.უოტფორდი	7	0	2	5	4-20	2

გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა

ჰანოვერი-ნიურნბერგი 0:4

იტალია. სერია ა

პარმა-ტორინო 3:2

საატუნინო ცხრილი:

1.ინტერი	6	6	0	0	13-2	18
2.იუვენტუსი	6	5	1	0	11-5	16
3.ატალანტა	6	4	1	1	15-9	13
4.ნაპოლი	6	4	0	2	15-10	12
5.რომა	6	3	2	1	11-9	11
6.ლაციო	6	3	1	2	11-4	10
7.კალიარი	6	3	1	2	9-6	10
8.ტორინო	6	3	0	3	10-10	9
9.პარმა	6	3	0	3	8-9	9
10.ფიორენტინა	6	2	2	2	11-10	8
11.ბოლონია	6	2	2	2	7-7	8
12.უდინეზე	6	2	1	3	3-5	7
13.სასუოლო	6	2	0	4	11-12	6
14.ვერონა	6	1	3	2	4-5	6
15.ბრეშა	6	2	0	4	7-9	6
16.მილანი	6	2	0	4	4-8	6
17.ლეჩე	6	2	0	4	6-12	6
18.ჯენოა	6	1	2	3	7-13	5
19.სპალი	6	1	0	5	5-13	3
20.სამპდორია	6	1	0	5	4-14	3

იტალია. სერია ბ

კრემონეზე-ასკოლი 1:0

საფრანგეთი. მე-2 ლიგა

გენგამი-ლემანი 3:0

ესპანეთი. ჰიმიეჩიდა

სოჭი-ახმატი 2:0

პორტუგალია. ჰიმიეჩა ლიგა

ავიში-სპორტინგი 0:1

თურქეთი. სუპერლიგა

გაზიანთები-გიოზთეფე 1:1

ჩეხეთი. 1 ლიგა

ბანიკი-პრეიბრეამი 3:0

ლიბერეცე-ბუდეოვიცე 4:2

პოლონეთი. ექსტრაკლასა

ზაგლებიე-ლოძი 3:1

დანია. სუპერლიგა

ჰორსენსი-ესბიერგი 1:1

შვედეთი. ალსვენსკა

ჰამარბი-იორბრო 5:1

ჰელსინბორგი-კალმარი 2:0

ესტერსტუნდი-დიურგარდენი 1:2

ნორვეგია. ელიტსერია

ვიკინგი-მიომდალენი 4:1

მოამზადა მიხეილ ყორეოლიანმა

ალკოჰოლის მაღაზიაში წასვლამ მამაკაცს სოლიდური მოგება მოუტანა

ამერიკის მერილენდის შტატის პრინს-ჯორჯესის ოლქის მცხოვრები მაღაზიაში სიმინდის სალათის საყიდლად წავიდა და ლატარიაში ჯეკპოტი მოხსნა.

61 წლის მამაკაცი სახლში სიმინდის სალათით ბრუნდებოდა და გზად ალკოჰოლური სასმელების მაღაზიაში შეიარა. იქ მან მომენტალური ლატარიის ექვსი ბილეთი შეიძინა. ერთ-ერთმა მას ათი დოლარის მოგება მოუტანა.

– მე ის გვერდით გადავდე და ჩავილაპარაკე, რომ როგორც მინიმუმ, ჩემი ფული ამოვიღე, – იხსენებს მამაკაცი.

სახლში მისვლის შემდეგ ამერიკელმა გულდასმით შეამოწმა გათამაშების შედეგები და აღმოაჩინა, რომ მთავარი პრიზის, 100 ათასი დოლარის მფლობელი გახდა. მისი თქმით, ადრეც მოუგია თანხა ლატარიაში, თუმცა მაშინდელი მოგება ამჟამინდელზე ასჯერ ნაკლები იყო.



გამარჯვებული მოგებული თანხით – ვალების გასტუმრებას, ხოლო დარჩენილი თანხის სამომავლოდ გადადებას გეგმავს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ნარკომოვაჭრის სახლში იშვიათი თეთრი ვეფხვი აღმოაჩინეს

ესპანეთის ქალაქ ალიკანტეში პოლიციელებმა ნარკომოვაჭრის ვილაში უიშვიათესი ალბინოსი ვეფხვი აღმოაჩინეს. ამის ამსახველი ვიდეო ერთ-ერთმა ბრიტანულმა გამოცემამ გამოაქვეყნა.

პოლიციამ 32 წლის მამაკაცი და 36 წლის ქალი ნარკოტიკების უკანონო ბრუნვაში მონაწილეობისთვის დააპატიმრა. სახლის ჩხრეკის დროს ხელისუფლების წარმომადგენლებმა საცურაო აუზის გვერდით გალია აღმოაჩინეს, რომელშიც ვეფხვი-ალბინოსი იყო მოთავსებული. გავრცელებული ინფორმაციით, წყვილი მეგობრებთან თავს ყოველთვის იმით იწონებდა, რომ დედამიწაზე ასეთი მხოლოდ 20 ცხოველი იყო დარჩენილი.

ეჭვმიტანილთა სახლში სამართალდამცავებმა ასევე აღმოაჩინეს დიდი რაოდენობით იარაღი და ნარკოტიკები. დაკავებულთა რამდენიმე ოთახში დათესილი და მოყვანილი იყო მარიხუანა. პოლიცია ვარაუდობს, რომ ორივე დაკავებული ნარკოტიკებით მთელ ქალაქს ამარაგებდა.

ხელისუფლება იძიებს და არკვევს, წყვილს ჰქონდა თუ არა ნებართვა და ამის დამადასტურებელი შესაბამისი საბუთები ალბინოსი ვეფხვის პატრონობაზე. ამ დროისთვის ცხოველი ვილაში იმყოფება და მას დაკავებულების ნათესავები უვლიან. მათი თქმით, ცხოველი აბსოლუტურად ჯანმრთელია.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. ამერიკული ჯიპი; 2. ოქროქსოვილის ძველი ქართული სახელწოდება; 3. ფასიანი ქაღალდების გასაყიდ და საყიდ ფასებს შორის სხვაობა; 5. ხორვატიის კუნძული ადრიატიკის ზღვაში; 6. ცეცხლსასროლი იარაღის ბელგიელი კონსტრუქტორი; 8. წვრილი, წვნიანი ნაყოფის მქონე ბუჩქოვანი მცენარეების საერთო სახელწოდება; 11. ჰოლივუდის კინორეჟისორი; 13. რიცხვის მეათასედი ნაწილი; 14. ადმინისტრაციული ორგანო სახელმწიფოში; 15. ცნობილი ბრაზილიელი არქიტექტორი; 19. ისტორიული სახელმწიფო მცირე აზიაში.

თარაზულად: 1. ბეჰემოთის მეორე სახელწოდება; 4. რადიოს ერთ-ერთი გამომგონებელი იტალიელი მეცნიერი; 7. ლოგარითმის წილადური ნაწილი; 9. მეთოთხმეტე საუკუნის საფრანგეთის გლეხთა აჯანყების სახელწოდება; 10. სამონასტრო კომპლექსი გორის რაიონში; 12. ევროპელ ებრაელთა საერთო სახელწოდება; 16. პლანეტის თანამგზავრი; 17. ქარბორბალას სახელწოდება აშშ-ში; 18. პროფესიონალი დამსმენის, ჯაშუშის სახელწოდება ძველ საბერძნეთში; 20. სახელმწიფო აფრიკის სამხრეთში; 21. საქონლის სუფთა წონა შეუფუთავად; 22. საწვავის, ბალასტის ავზები სატრანსპორტო გემზე.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. კოდაკი; 2. ლენი; 3. ალგოლოგია; 4. ანეტო; 5. ხორშაკი; 8. ბალადა; 9. თითლიბაზი; 12. კრეოლი; 14. რადონი; 16. იუანი.

თარაზულად: 1. კონვულსია; 6. ფლამინგო; 7. დურბანი; 9. თაგორი; 10. ფოკა; 11. ბაღდათი; 13. ლარნი; 15. არღანი; 17. სიმინდი; 18. ყოჩები; 19. ავანსი; 20. ვიკინგი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ქილიკი; 2. ხერესი; 3. მოცვი; 5. ხოზე; 6. როტორი; 8. ანგინა; 11. თეოდოლიტი; 13. მეეზოვე; 14. ლატავრა; 15. იურისტი; 19. ბორა.

თარაზულად: 1. ქვანახშირი; 4. სამხარი; 7. ლინდერი; 9. ვაჩნაძე; 10. ათოსი; 12. ერისთავი; 16. კატმანდუ; 17. რეკორდი; 18. დარბაზობა; 20. ტელფერი; 21. ბეკი; 22. ჩასპანდი.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

2 ოქტომბერი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.9552	ევრო — 3.2286
ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.6319	100 რუსული რუბლი — 4.5891

ამინდის პროგნოზი 2 ოქტომბერი

1 ოქტომბრიდან

რევაზ მიშველაძე
რჩეული ნოველები
ორტომეული
ტომი 2

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

8 ოქტომბრიდან

საქართველოს ისტორია პატარებისთვის

თამარს უამბო დედამა

წიგნი II

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი



5 ნოემბრიდან

საქართველოს ისტორია პატარებისთვის

ბაზალეთისა ტბის ძირას

წიგნი III

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

ილიკო სუხიშვილი: „ადამიანში ყველაზე მეტად ნდობასა და უღალატობას ვაფასებ...“

ქორეოგრაფი ილიკო სუხიშვილი აცხადებს, რომ ადამიანში ყველაზე მეტად ნდობასა და უღალატობას აფასებს:

– ადამიანში ყველაზე მეტად ნდობასა და უღალატობას ვაფასებ...

რა თქმა უნდა, შეცდომები ცხოვრებაში ყველას მოსდის. პატიება და ბოდიშის მოხდა არავის უნდა ეთაკილებოდეს. მთავარია, რომ ენდო, არ უღალატო და არ გშურდეს, სხვა ყველაფრის პატიება შეიძლება.

დღეს ყველაზე მეტად სწორედ ნდობა გვჭირდება. აბა, კარგად გავჩხრიკოთ ამ ქართული ანდაზის დედააზრი: „კანონმა იკანონოსო, ნდობამ კი იბატონოსო“.

მინდა, რომ ყველა ჩემი ახლობელი და მთელი ჩვენი ქვეყანა იყოს ძალიან კარგად! ბევრისაგან განსხვავებით, ეს პოზა არ არის, ეს გულწრფელი სურვილია...

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ასტროპროგნოზი

2 ოქტომბრისათვის

ვერძი – კეთილისმყოფელი დღეა. საქმიანი კონტაქტები იღბლიანად წარიმართება. განსაკუთრებით გაგიმახვილდებათ ინტუიცია. **კურო** – დიდი ყურადღება მიაქციეთ ჯანმრთელობას. ნუ გარისკავთ. ერიდეთ არასანდო ადამიანებს, რადგან დიდია მოტყუების ალბათობა. **ტყუპები** – გიძლიერდებათ აურა, ასევე იზრდება თქვენი პიროვნული მომხიბვლელობა. კომერციულ ოპერაციებს თავი აარიდეთ. **კირჩხიბი** – მოთმინებით აღიჭურვეთ. ზედმეტი ნერვიულობა საჭირო არ არის. მეტი ყურადღება გამოიჩინეთ ბავშვების მიმართ. **ლომი** – სასიყვარულო ურთიერთობებში წარმატება გელით. ტაქტიკა სიტუაციის მიხედვით შეცვალეთ. **ქალწული** – კოლეგებისადმი ზედმეტი ნდობა უსიამოვნებას შეგამთხვევთ. მოულოდნელად ვითარება თქვენ საწინააღმდეგოდ იცვლება. **სასწორი** – პირად ცხოვრებას აგრესიულობა და ამბიციურობა გაგირთულებთ. მეორეხარისხოვან დეტალებზე ყურადღების გამახვილება არ ღირს. **ღრიანკალი** – ენერგეტიკულად მძლავრი დღეა. ენთუზიაზმით აღსავსე ხართ. გელით ან დიდი სიყვარული, ან გრანდიოზული სკანდალი. **მშვილდოსანი** – ჯანმრთელობისთვის სახიფათო დღეა. ერიდეთ ხალხმრავალ ადგილებს. **თხის რქა** – დღეს ბევრი თქვენგანი წარმატებას მიაღწევს. კარგი იქნება, თუ ეწვევით თეატრს, დაესწრებით კონცერტს. **მერწყული** – მოულოდნელი პრობლემები კვლავ თავს იჩენს. ფინანსური მხარდაჭერა გჭირდებათ. სიამაყე დროებით დაივიწყეთ. **თევზები** – სასიცოცხლო პოტენციალი არნახულად დიდია. მოვლენებს ახლებურად აღიქვამთ. რეკომენდებულია საცხოვრებელი ადგილის შეცვლა.

გისუსვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

სამოცდაათს მიღწეულ ქალს ექიმი ეუბნება:

– პრინციპში, ყველაფერი წესრიგში გაქვთ, თუმცა უფრო აქტიურ სქესობრივ ცხოვრებას გირჩევდით, კვირაში სამჯერ იდეალური ვარიანტი იქნებოდა.

– ექიმო, ეგ ჩემს ქმარს უთხარით, გარეთ მელოდება და ახლავე შემოვიყვან.

ექიმი მამაკაცს ეუბნება:

– იმ დასკვნამდე მივედი, რომ თქვენი მეუღლის ჯანმრთელობისთვის კვირაში სამჯერ სექსი ძალიან კარგი იქნებოდა.

– რომელ დღეებში?

– არ ვიცი... ვთქვათ, ორშაბათს, ოთხშაბათსა და შაბათს.

– შაბათი არ გამოდგება.

– რატომ?

– შაბათს თქვენთან უამრავი ხალხია და მთელი დღე მოგვიწევს რიგში დგომა.

●●●

ორნი საუბრობენ. ერთი მეორეს ეუბნება:

– გუშინ ჩემი ნაცნობი თეატრში იყო სპექტაკლზე, მაგრამ, იმდენად მოსაწყენი პიესა აღმოჩნდა, რომ მესამე აქტს აღარ დაელოდა და წამოვიდა. ამას კი დიდი სკანდალი მოჰყვა.

– რატომ?

– პიესაში მთავარ როლს თამაშობდა.

●●●

გოგონა ბიჭს ეუბნება:

– ნამდვილი სექსგიგანტი ხარ...

– მართლა?

– ჰო, სულ ორი კვირაა, ვხვდებით ერთმანეთს და უკვე სამი თვის ფეხმძიმე ვარ!

●●●

საოპერაციო მაგიდაზე მწოლიარე სიმამრი თავის ქირურგ სიძეს ეუბნება:

– შვილო, დაიმახსოვრე, თუ მე რამე დამემართება, შენი სიდედრი შენთან გადმოვა საცხოვრებლად.

●●●

ცოლი ქმარს ეუბნება:

– მომბეზრდა საწოლში შენი ხელების ფათური, გინდა, რეზინის ქალს გაჩუქებ.

– უკეთესი იქნება, თუ ნამდვილს მაჩუქებ, თორემ რეზინის უკვე ყელშია ამოსული.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ალექსის სანჩესი: „კამპ ნოუზე დიდი გამოცდა გველის“

ინტერის ფორვარდმა ალექსის სანჩესმა თავის ყოფილ გუნდ ბარსელონაზე ისაუბრა და თქვა, რომ ამ გუნდის წინააღმდეგ გასვლაზე თამაში ყოველთვის ძალიან რთულია.

ინტერი ბარსელონას 2 ოქტომბერს დაუპირისპირდება და, სანჩესის აზრით, ინტერის ძალა ამ შეხვედრაში უნდა გამოჩნდეს:

– ბარსელონაში ბედნიერი ვიყავი და ეს გუნდი მიყვარს, მაგრამ ახლა ინტერის ფეხბურთელი ვარ და ყველაფერს გავაკეთებ, რომ კატალონიური გუნდი დავამწუხრო. ნოუ კამპზე თამაში ძალიან რთულია და ინტერს დიდი გამოცდა ელის, რომელიც უნდა ჩავაბაროთ.

იურგენ კლოპი: „ალისონი მალე დაგვიბრუნდება“

ლივერპულის მთავარმა მწვრთნელმა იურგენ კლოპმა ალისონ ბეკერზე ისაუბრა და თქვა, რომ ბრაზილიელი მეკარე მოედანს მალე დაუბრუნდება.

კლოპის აზრით, ალისონმა დაბრუნება არ უნდა იჩქაროს და ტრავმა ბოლომდე მოიშუშოს:

– ჩვენ ვიცით, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ალისონის თამაში ლივერპულისთვის, მაგრამ მან არ უნდა იჩქაროს. ადრიანი მას კარგად ცვლის და ჩვენ კმაყოფილი ვართ. ვფიქრობ, ალისონი ოქტომბრის შუა რიცხვებში მანჩესტერ იუნაიტედთან დაბრუნდება.

სადიო მანე: „სალაჰთან კონფლიქტი არ მაქვს“

ლივერპულის სენეგალელმა ფორვარდმა სადიო მანემ მოჰამედ სალაჰზე ისაუბრა და თქვა, რომ მასთან არავითარი კონფლიქტი არა აქვს და ისინი მეგობრები არიან.

მათ კონფლიქტზე საუბარი მას შემდეგ დაიწყო, რაც მანემ ერთ-ერთ შეხვედრაში სალაჰის მიმართ უკმაყოფილება არ დამალა.

– ეს ყველაფერი სისულელეა. უბრალოდ, იმ ეპიზოდში გავბრაზდი და ემოციები ვერ შევიკავე. სალაჰი ჩემი მეგობარია და მასთან არავითარი კონფლიქტი არ მაქვს. ჩვენ ლივერპულის ფეხბურთელები ვართ და მოედანზე ერთად ვიბრძვით, – თქვა სადიო მანემ.

სოლსკიაერი თავის ფეხბურთელებში დარწმუნებულია

მანჩესტერ იუნაიტედის მთავარმა მწვრთნელმა ოლე გუნარ სოლსკიაერმა არსენალთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა, რომ მის გუნდს აქვს პოტენციალი, უბრალოდ, მას გამოყენება სჭირდება.

მანჩესტერი შეხვედრას იგებდა, თუმცა საბოლოოდ მხოლოდ ფრეს დასჯერდა 1:1 და სოლსკიაერი უკმაყოფილო დარჩა:

– ვფიქრობ, კარგად ვითამაშეთ და გამარჯვებას ვიმსახურებდით, მაგრამ არსენალმა მეორე ტაიმში მოუმატა და ფრეს მიაღწია. ვფიქრობ, ჩემს ფეხბურთელებს აქვთ პოტენციალი და მინდა, რომ მომავალ შეხვედრებში მათ ეს პოტენციალი მეტად გამოავლინონ.

არსენალი ზამთარში ოზილის გაშვებას აპირებს

ლონდონის არსენალი მესუტ ოზილის დატოვებას არ აპირებს და მეთოფეები უკვე ზამთარში შეეცდებიან მის გაყიდვას.

ოზილმა წლევანდელ სეზონში მხოლოდ ორ შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა და უნაი ემერიმ მას პირდაპირ უთხრა, რომ სხვა გუნდი უნდა მოძებნოს.

ოზილს ძალიან მაღალი ხელფასი აქვს და არსენალს უკვე რამდენიმე წელია, მისი მოშორება უნდა, მაგრამ ამას ვერ ახერხებს.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ალექსანდრე ზაზარაშვილი ჰოლივუდში მიიწვიეს

უკრაინული „ვოისის“ გამარჯვებული ალექსანდრე ზაზარაშვილი ჰოლივუდში მიიწვიეს.

უნიჭიერესი მომღერალი კარნეგი ჰოლში შეკრებილი მსმენელის წინაშე წარდგა, დარბაზი ფეხზე წამოაყენა და ახლა უკვე შესარჩევი ტურის წარმატებით გავლის შემდეგ ჰოლივუდშიც ელოდებიან.

ალექსანდრე ასევე მიწვეულია ერთ-ერთ პოპულარულ ამერიკულ გადაცემაში. ეს არის პირველი შემთხვევა საქართველოს ისტორიაში, როდესაც ქართველი ამ გადაცემის სტუმარი იქნება.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ჯოსვოხდი ১



შვეულად: 1. სამონასტრო კომპლექსი ახალციხის რაიონში; 2. სოფელთა სახელწოდება ჩრდილო კავკასიაში; 3. გადაჭარბებული სიყვარული ყველაფერი ფრანგულისა; 4. მთავარი მოედანი მილანში; 5. უდიდესი ნეტარების მდგომარეობა ბუდიზმის მიხედვით; 8. უღელტეხილის ქართული სახელწოდება; 9. ქალაქი იმერეთში; 12. კურორტ იალტის ძველი სახელწოდება; 14. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული მონასტერი; 16. გრძელყელიანი გოგრის ჯიში, რომლისგანაც ამზადებენ ღვინის ამოსაღებ ჭურჭელს.

თარაზულად: 1. პროფესიონალი შანტაჟისტის, დამსმენის სახელწოდება ძველ საბერძნეთში; 6. ქართული ხალხური ცეკვა; 7. დარბაზის ფეხბურთი; 9. ზღვისპირა კურორტი პოლონეთში; 10. იტალიის ფეხბურთელთა გუნდი; 11. ორადგილიანი ველოსიპედი; 13. წლიური ფულადი გადასახადი კომლზე ძველად საქართველოში; 15. პოლიტიკური პარტია ისრაელში; 17. უბანი ძველ თბილისში; 18. კომბინაცია პრეფერანსში; 19. ტრაგედია „ჰამლეტის“ პერსონაჟი; 20. პორტუგალიის ნაკრებისა და „იუვენტუსის“ ფეხბურთელი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა